საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) გლივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- დაიხურა ერთა ლიგის სესია.
- კანადაში შესდგა ახალი მთავრობა.
- ჩინეთში დაიხურა რუსეთ-აზიის ბანკი.
- საფრანგეთის მთავრობა შეუდგა ოქროს ფრანკის შესყიდვას.
- ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარეთ ჯორჯ ხიკსი აირჩიეს.
- საბერძნეთის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ახალი კონსტიტუცია.

სამშაბათი, 28 სექტემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 220 (1765)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი

29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის ბინაზე (რუსთაველის გამზირი, 24) მოწვეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი.

სავალდებულოა საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. საოლქო-საკონტრ. კომ. ყველა წევრთა დასწრება.

საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. ს. ს. კომ. თავმჯდომარე—**ნაზარეტიანი**

მთავარი საკითხები

(მომავალი არჩევნების გამო კოოპერაციაში)

მომავალ ოქტომბრიდან ჩვენში დაიწყება სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი ქსელის ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა. ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, კოოპერატიულად შეკავშირებულმა მასსამ ამ შემთხვევაში სათანადო აქტივობა და თავისი მოვალეობის შეგნება გამოიჩინა.

პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს საანგარიშო კამპანიის ჩატარებას. კოოპერატიული გამგეობანი მეპაიეთა რწმუნებულების წინაშე გამოვლენ მოხსენებებით თავიანთი მუშაობის შესახებ. თავის მტერი არავინ არის და ბევრს მოქალაქობრივი შეგნება-გამბედაობაც არ ეყოფა, რომ საჯაროთ აღნიშნონ ის ნაკლულევანებანი, რომელთაც უეჭველად ბლომად აქვთ ადგილი კოოპერატიულ ორგანოთა საქმიანობაში. ზოგიერთი გამგეობათაგანი, მიღწევების გადმოშლასთან ერთად, ალბად შეეცდება მიჩქმალოს უარყოფითი მხარეები, ან ასეთები „ობიექტიურ“ მიზნებს გადააბრალოს. და აქ მეპაიეთა მოვალეობას შეადგენს არ დაუშვან კოოპერაციის მტკივანი მოვლენების ასეთი მიფუჩეჩება და მოურიდებლად სააშკარაოზე გამოიტანონ თავის არჩეულ ორგანოების მუშაობის უარყოფითი მომენტები და მიუდგომელი მსჯავრი დასდონ მათ.

მაგრამ ეს მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატიული მასსა თავის ორგანოების საქმიანობას თვალყურს ადევნებს, იცნობს და თუ ამასთან მას კარგად ესმის კოოპერაციის წინაშე დღეს მდგარი ამოცანები. ამიტომ მეპაიეები უნდა ჩაუკვირდენ კოოპერატივის მიერ შესრულებულ მუშაობას, მათ უნდა გაითვალისწინონ მისი მიღწევები და ნაკლულევანებანი, რომ შესაფერი მასალებით შეიარაღებული შეხვდენ საანგარიშო კამპანიას.

რას უნდა მიექცეს აქ მთავარი ყურადღება? საცალო ფასების დაკლება და საქონლის იაფად მიწოდება მოსახლეობისათვის—აი, თავი და თავი საკითხი. ამ მხრივ კოოპერაციას განსაკუთრებული მოვალეობა აწევს. რა გააკეთა გამგეობამ ამ დარგში, რა უშლიდა ხელს საქონლის გაიაფებას და სხ.—ეს ზედმიწევნით უნდა იქნას გამორკვეული. უეჭველია, რომ სოფლად სამრეწველო საქონელი ისევ ძვირად იყიდება. და ამაში დამნაშავეა არა მარტო „საერთო“ სამეურნეო მდგომარეობა (საქონლის ნაკლებობა, კოოპერაციის ფინანსიური ხელმოკლეობა და სხ.), არამედ ბევრგან კოოპერაციის მუშაკების უუნარიანობა და არარაციონალური მუშაობა.

კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მრავალ უთავბოლო, გაუმართლებელ ხარჯებს აქვს ადგილი კოოპერაციაში. ფასიანი გამგეობანი, გადაჭარბებული შტატები, მივლინებები და სატრანსპორტო საშუალებანი და მრავალი სხვა საქონლის ფასს ემატება და ძალიან აძვირებს მას. ყველაფერ ამაში შესაძლებელია ხარჯების საგრძნობლად შემოკლება და ამით ქალაქის ნაწარმოებთა გაიაფება. ერთი სიტყვით, მომჭირნეობის რეჟიმი კიდევ არ ტარდება კოოპერაციაში როგორც საჭიროა, და ეს უნდა გახდეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუხლად მომავალ საარჩევნო კამპანიაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს მფლანგველობა კოოპერაციაში. რაც ბოლო დროს თუმცა რამდენიმედ შენელდა, მაგრამ მთლად არ არის მოსპობილი. მფლანგველობა, სახალხო ქონების მითვისება არა მარტო სამეურნეო ზარალს აყენებს კოოპერაციას, არამედ ეს ხალხის თვალში მას სახელს უტეხს, მოსახლეობას აშორებს მას. ამიტომ ენერგიულად უნდა იქნას გაძლიერებული ბრძოლა ამ მახინჯ მოვლენის წინააღმდეგ, და ამან გამოძახილი უნდა ჰპოვოს საარჩევნო კამპანიაშიაც.

ეხლანდელი გამგეობის მუშაობის საფუძვლიანი აწონ-დაწონის შემდეგ გამოირკვევა, თუ ვინ არის კოოპერაციის მეგობარი და ხალხის მოამაგე და ვინ მტერი. უდავოა, რომ ბევრგან კოოპერატივებში ჯერ-კიდევ მოკალათებული არიან მშრომელი მასსისათვის უცხო ელემენტები, რომელნიც ხალხის ნდობას ბოროტად იყენებენ ანგარებითი მიზნებისათვის. ასეთი პირები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოიცალცხონ კოოპერატივებიდან, სამაგიეროდ იქ უნდა მოხვდენ ნამდვილად პატიოსანი, მშრომელ მოსახლეობის გულშემატკივარი და მასთან მუშაობის უნარმქონე მუშაკები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ როგორც ძველი გამგეობის კრიტიკის, ისე ახალის არჩევის დროს სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მასსის თავისუფლება, დემოკრატიის პრინციპი აქ მტკიცედ უნდა იქნას დაცული. ამასთან ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები აქა-იქ მოისურვებენ ამ თავისუფლებით სარგებლობას თავისი ბნელი პოლიტიკური მიზნებისათვის, მაგრამ მათი გამოსვლების ნამდვილი სარჩული საჯაროდ და შეუბრალებლად უნდა იქნეს მხილებული.

გამგეობის არჩევასთან ერთად მოხდება სარევიზიო კომისიის არჩევაც. სარევიზიო კომისია ზოგან რაღაც მკვდარ ინსტიტუტად იქცა. თავისი შემადგენლობით და მუშაობით ბევრგან ის სრულებითაც ვერ დგას დანიშნულების სიმაღლეზე. უეჭველია, რომ თუ კოოპერატიულად მუშაობას, მასში ნაკლს თუ გაფლანგვას აქვს ადგილი, ამაში დანაშაულობას, გამგეობასთან ერთად, უეჭველად სარევიზიო კომისიაც უნდა იზიარებდეს. უნდა იქნეს შემოწმებული სარევიზიო კომისიის მუშაობა, იქიდან განდევნილი უქნარი და უვარგისი ელემენტები და სამაგიეროდ არჩეული ავტორიტეტით მოსილი და ენერგიული პირები.

საარჩევნო კამპანიის შინაარსი მარტო ამ საკითხებით არ ამოიწურება. კოოპერაციისათვის დღეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ფინანსიურ მოღონიერებას. კოოპერაციის საკუთარი კაპიტალი სრულებით უმნიშვნელოა, ის უმთავრესად ნასესხები საშუალებებით სულდგმულობს, რაზედაც დიდძალი პროცენტები მიდის. და ეს არ არის უკანასკნელი მიზეზი საქონლის გაძვირების. ამავე დროს, საერთო მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის წყალობით, რომელსაც სახელმწიფო ატარებს ფინანსიურ რესურსების სიმცირის გამო და ფულის კურსის განმტკიცების მიზნით, შეკვეცილია კრედიტები კოოპერაციისათვისაც. უკანასკნელი უმთავრესად უნდა დაემყაროს თავის საკუთარ საშუალებებს. დროა ის საკუთარ ფეხებზე დადგეს. ეს კი მოსახერხებელია არა მარტო მომჭირნეობის რეჟიმის დაცვით და სოციალისტური დაგროვების გზით, არამედ საპაიო თანხების გადიდებით. საპაიო თანხების გადიდება კოოპერაციის გადაუდებელი ამოცანაა. საპაიო გამოსაღების ფაქტიური რაოდენობა თითო მეპაიეზე სოფლად მოდის საშუალოდ 3 მ. 30 კ. არსებული კანონით კი მისი უმაღლესი ოდენობა უდრის 5 მან. ბევრს ეს საშუალო განაკვეთიც არ შეაქვს. აუცილებლად საჭიროა საპაიო გამოსაღებთა დროზე შეტანა და სასურველია მისი გადიდება კანონით დაწესებულ ნორმამდე. მაგრამ ესეც არ კმარა. ხუთ-ხუთი მანეთის შეგროვებითაც საკმაო თანხა ვერ შესდგება. ამიტომ დღეს აღძრულია საკითხი საპაიო გამოსაღების 10 მანეთამდე გადიდების შესახებ სოფლად. საჭიროა საარჩევნო კამპანიის დროს ეს საკითხი დაისვას მასსების განსახილველად და მათი თვალსაზრისის გამოსააშკარავებლად.

უეჭველია, ამოდენი ფულის გადახდა გაუჭირდება ღარიბ გლეხობას, მაგრამ მისთვის უნდა იქნეს დაწესებული შეღავათები, ამასთან უნდა დაარსდეს სპეციალური ფონდები ღარიბ გლეხობის შესაყვანად კოოპერაციაში. საერთოდ ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობის დარაზმვას კოოპერაციაში და მის წარმომადგენელთა გაძლიერებას კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში. კოოპერაცია ღარიბ გლეხობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს პირველ ყოვლისა და თავისი ინტერესები იქ თვითონ მათ უნდა დაიცვან უშუალოდ.

ასეთია მთავარი ამოცანები, რომელნიც დგანან კოოპერატიულ ორგანოთა გადარჩევის წინაშე. ადგილობრივი პარტორგანიზაციები ამთავითვე უნდა შეუდგენ მზადებას არჩევნების წარმატებით ჩატარებასა და ამ ამოცანების გადაჭრისათვის.

კონკრეტული ღონისძიებანი მომჭირნეობის საქმეში

მომჭირნეობის კამპანიამ უკვე განვლო აგიტაცია-პროპაგანდის პერიოდი. ეხლა ამოცანის მთელი სიმძიმე გადატანილია კონკრეტულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამონახვისაკენ.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებო განკარგულება გამოსცა რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭომ. ეს განკარგულება ყურადღებას იპყრობს თავის იშვიათი კონკრეტულობით. ცენტრალურ და ხელმძღვანელ დაწესებულებისაგან ჩვენ ჩვეული ვართ საერთო ხასიათის და სადირექტივო დადგენილება-განკარგულებებს.

აქ კი სრულიად წინააღმდეგ მოვლინასთან გვაქვს საქმე. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს ხელისუფლება დაზოგვის რეჟიმის გატარებას და რამდენად პრაქტიკულ სადღეისო ამოცანას წარმოადგენს მომჭირნეობის კამპანია.

ამ დადგენილებაზე შეჩერება მით უფრო ღირს, რომ ყველა მასში აღნიშნული კონკრეტული ღონისძიებანი სრულიადაც არ განისაზღვრება მხოლოდ რუსეთის პირობებით. აქ დასმულ საკითხებს უაღრესი აქტუალური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ყოველი რესპუბლიკისათვის და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოსათვისაც.

განკარგულებაში ლაპარაკია ჩვენს დაწესებულება - წარმოებებში ხარჯების შემცირებაზე ადმინისტრატიულ -სამეურნეო და შრომის ხელფასის გაცემის დარგში. აქვე არის ნაჩვენები საერთო ღონისძიებათა გზები მომჭირნეობის გასატარებლათ.

პირველ მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: „უნდა შესწყდეს ყოველგვარ სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარის და მოწყობილობის შესყიდვა (დგამი, საწერი მანქანები და სხვა), თუ არის უკვე არსებულ ინვენტარის გამოყენების საშუალება; უნდა შესწყდეს პორტრეტების, ბიუსტების, პორტიერების, ნოხების, ფარდების, რბილი დგამის, ძვირფასი არმატურის, ძვირფასი საწერი ნივთების, პორთფელების და სხვათა შესყიდვა; უნდა განისაზღვროს შენობების და ბინების შეკეთება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი დანგრევისაგან დაცვისათვის“.

ცხადია, ყველა ეს საკითხები თავისთავად იგულისხმება, როდესაც ჩვენ მომჭირნეობაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათ განხორციელებაზე არც თუ ისე ერთგულათ ზრუნავენ ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ პასუხისმგებელ ამხანაგის გაბიუროკრატებაზე, მის კერძო მესაკუთრეობითი მისწრაფებით გატაცებაზე და სხვა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად ამ ტკივილების სათავე იმ დაწესებულებიდან იწყება, სადაც ეს ამხანაგი მუშაობს. აქ ფუფუნების და კომფორტის შექმნის შესაძლებლობა გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე საკუთარ ბინაზე.

თუ რასმე იძენ ან აკეთებ, ისევ დაწესებულებისათვის. ყველაფერი წიგნებშია გატარებული და თითეული დახარჯული კაპეიკი ნაანგარიშევია. ასე რომ, ბოროტმოქმედებას ვერავინ დაგწამებს. შეიძლება მხოლოდ გაკვრით განიშნოს ვინმემ, რომ ეს დაუშვებელი ხელგაშლილობა და უყაირათობაა.

მომჭირნეობის რეჟიმის პირობებში ასეთ „მოკრძალებითი საყვედურებს“ ადგილი აღარ უნდა დაურჩეს. ხალიჩებსა და ფარდაგებზე ფულების გადაყრას, როცა დაწესებულებას ვალები ახრჩობს, ან უსახსრობის გამო მას შეუსრულებელი აქვს მთელი რიგი ელემენტარული ვალდებულებანი თანამშრომელთათვის შრომის ნორმალურ პირობების შექმნის საქმეში, აშკარა ბოროტმოქმედებათ უნდა ჩაითვალოს. ამნაირი უყაირათობის მაგალითი კი ჩვენ არაერთი ვიცით.

ასევე ითქმის მთელ რიგ სხვა გაუმართლებელ ხარჯებზე, რომლებსაც დაწვრილებით ჩამოსთვლის რუსეთის სახკომსაბჭოს ხსენებული განკარგულება. უნდა შემცირდეს მსუბუქი ტრანსპორტი, უნდა განისაზღვროს ასეთ ტრანსპორტით მოსარგებლე პირთა რიცხვი, უნდა შესწყდეს ტრანსპორტით სარგებლობა ოჯახურ საჭიროებისათვის; უნდა შემცირდეს დეპეშების და განსაკუთრებით რადიო დეპეშების გზავნა, როცა ეს აუცილებლობით არაა გამოწვეული; უნდა შემოკლდეს დაწესებულების ხარჯზე მომუშავე ტელეფონების რიცხვი; უნდა შესწყდეს რბილ ვაგონებით მოგზაურობა, საამისოთ არსებულ წესების გარეშე; უნდა შემოკლდეს მივლინებათა საერთო რიცხვი, დრო და სხვა.

ასეთია ზოგადათ ის კონკრეტი, გარეგნულათ თითქოს „წვრილმანი“ ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარებას ავალებს რუსეთის მთავრობის განკარგულება თავის ქვემდებარე დაწესებულება-წარმოებებს. მაგრამ, მოგეხსენებათ, არ არის სხვილმანი წვრილმანების გარეშე. ამ ღონისძიებათა სახელმწიფოს მასშტაბით კეთილსინდისიერათ და სიმტკიცით გატარება უდიდესათ შეუწყობს ხელს სახალხო დოვლათის ზრდას და საბჭოთა მეურნეობის წინმსვლელობას. სწორედ ამიტომ აქცევს დაწესებულება-წარმოებათა ყურადღებას ამ „წვრილმანებზე“ ისეთი ავტორიტეტული ორგანო, როგორიცაა სახკომსაბჭო.

აღსანიშნავია აგრეთვე ის საშუალებები, რომელიც ნაჩვენებია ხსენებულ განკარგულებაში ხელფასის მოსაწესრიგებლათ. არა ერთხელ აღუნიშნავს პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ მომჭირნეობის რეჟიმი არას შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც მუშა - მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის შევიწროება. მომჭირნეობის ამოცანის უაღრესი მნიშვნელობის ასეთ უხეშ დამახინჯებას ჩვენ დღეს დაუნდობლათ ვებრძვით.

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამავე დროს არ უნდა გამოეცხადოს ასეთივე სასტიკი ბრძოლა ხელფასის განსაზღვრა-გაცემის დარგში არსებულ „გაუგებრობას“. სახკომსაბჭოს განკარგულებაში კატეგორიულათაა ნათქვამი:

უნდა გატარებულ იქნას ზედმეტი საათების. სანარდო მუშაობის და სხვათა რადიკალური შემცირება... — უნდა შესწყდეს ყველა ისეთი ხარჯების გაღება, რომელნიც მიზნად ისახავენ ხელფასის ფარულად მომატებას: თანამშრომელთათვის სახლიდან დაწესებულებაში და დაწესებულებიდან სახლში მოგზაურობისათვის ფულის გამოწერა; თანამშრომელთათვის ბინების შეძენა, მათი ბინების შეკეთება-შელამაზება, უფასო კომუნალურ შეღავათების დაწესება, მათთვის ავეჯეულობისა და დგამის ხელსაყრელ პირობებში მიცემა და სხვა.

როგორც ვხედავთ, არც ერთი ეს დღემდე უკანონოდ დაკანონებული შეღავათები არ არიან გათვალისწინებული ხელფასის არსებულ განაკვეთებით. ამ უთავბოლო ხარჯების აღკვეცა სრულიადაც არ შეეხება მუშა-მოსამსახურეთა მთავარ მასას. რამდენადაც ხსენებულ შეღავათებით უმეტეს შემთხვევაში სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები.

ამნაირად, რუსეთის სახკომსაბჭოს განკარგულება ბევრ საყურადღებოს, და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, კონკრეტულ მასალას იძლევა მომჭირნეობის კამპანიის წარმატებით გატარებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება, რა თქმა უნდა, ადგილობრივ პირობებთან შეთარდებით, დიდათ შეუწყობდა ხელს მომჭირნეობის კამპანიის გაღრმავებას საქართველოში.

ბ. ს—ლი.

ორი ბლოკი

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

მსოფლიო ომი, როგორც ცნობილია, მომზადებული იყო ორ მეტოქე ევროპიულ სახელმწიფოთა კოალიციის შექმნით. როცა ვერსალის ზავის შემქმნელნი, ერთა ლიგას აარსებდენ, გულუბრყვილო ხალხს არწმუნებდენ, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება განმეორდეს და რომ ერთა ლიგის არსებობა შეუძლებელს ხდის მომავალში ევროპის დანაწილებას ორ მტრულ ბანაკად. მაგრამ საქმით კი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მოქიშპე პოლიტიკური კომბინაციების ჩამოყალიბების პროცესი; ეხლა ეს პროცესი განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს. ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა ევროპის კონტინენტზე ჰეგემონიისათვის, რომელიც ევროპის პოლიტიკის უმთავრეს შინაარსს შეადგენს ვერსალის შემდეგ, ეხლა სრულდება ლიგაში დამარცხებული გერმანიის შესვლით. მან უნდა შეასრულოს ფაშისტური იტალიის პარტნიორის როლი.

პირველ წლებში ომის შემდეგ ევროპაში საფრანგეთის გავლენა სჭარბობდა. რურის ოკუპაციის მარცხისა და დაუესის გეგმის მიღების შემდეგ საფრანგეთი სწრაფად უთმობს თავის უპირატეს პოზიციებს დიდ ბრიტანეთს. ლოკარნო თითქოს ნიშნავდა ლონდონის სრულ გამარჯვებას და ბრიტანეთის ჰეგემონიის დასაწყისს ევროპის კონტინენტზე. რამდენადაც როგორც საფრანგეთმა, ისე გერმანიამ მიიღეს „ფორეინ ოფფისის“ მიერ ნაკარნახევი რეგლამენტი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ ინგლისის ჰეგემონია ევროპის პოლიტიკაში, რომელმაც საფრანგეთის უპირატესობა შესცვალა, ხანგრძლივი არ გამოდგა. საფრანგეთის დიპლომატიამ სასწრაფოდ გამონახა სწორი გზა იმისათვის, რომ კვლავ თავისუფლება მოეპოვებია და ლონდონის ოპეკისაგან თავი დაეღწია. ასეთი გზა იყო უშუალოდ დაახლოვება გერმანიასთან სადავო საკითხების მოგვარებისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების ნიადაგზე.

ბრიტანეთის დიპლომატია მსოფლიო ომის შემდეგ არა ერთხელ გამოდიოდა ისეთ პოზაში, თითქოს იგი გერმანიის ინტერესების დამცველი ყოფილიყო საფრანგეთის აგრესიულ მოქმედებათა წინააღმდეგ. საფრანგეთ - გერმანიის ანტაგონიზმით ლონდონს სურდა, რომ გერმანიის სახით ყოლოდა ისეთი ძალა, რომელსაც ყოველთვის დაუპირდაპირებდა საფრანგეთს. ამავე მიზნით მოამზადა მან გერმანიის შეყვანა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში—ერთა ლიგაში. მაგრამ ლოკარნოს შემდეგ მალე შეიქნა ისეთი სიტუაცია, რომ გერმანიამ „აბრუხდო ქნა“ და საფრანგეთთან დაახლოვების ორიენტაციის გზას დაადგა. ფორმალურად ლოკარნოს ფარგლებში დარჩენილი ბერლინი საფრანგეთის პოლიტიკის იარაღად ხდება ინგლისის წინააღმდეგ.

საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვების უმთავრესი ეტაპები უკანასკნელ თვეებში ასეთია: მაისის შუა რიცხვებში საფრანგეთის თანხმობით მოხსნილია მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლი გერმანიის საჰაერო შეიარაღებაზე. უკანასკნელი ცდილობს, რომ მოხსნას შეზღუდვანი სამოქალაქო ავიაციაშიაც. დამახასიათებელია, რომ ერთდროულად მოაწერეს ხელი საფრანგეთ-გერმანიის ორ კონვენციას, რომელნიც დაწვრილებით აწესრიგებენ საჰაერო მიმოსვლას ორთავე სახელმწიფოს შორის. 2 ივნისს არსდება საფრანგეთ - გერმანიის საინფორმაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიან ორთავე ქვეყნის მსხვილ სამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელნი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი. მთელი ზაფხულის განმავლობაში სწარმოებს ეკონომიური მოლაპარაკება პარიზსა და ბერლინს შორის, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა საფრანგეთ - გერმანიის ფოლადის, ქიმიურ და სხვ. კონცერნებს და გამოიწვია 5 აგვისტოს დროებითი სავაჭრო შეთანხმება. საფრანგეთისა და გერმანიის პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად აქვეყნებენ პროექტებს საფრანგეთისა და გერმანიის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური კავშირის შესახებ. დაბოლოს, გერმანიის შესვლამ ერთა ლიგაში, ლონდონის სავალალოდ, საფრანგეთ - გერმანიის მეგობრობის მანიფესტაციის საბაბი გახდა. ბრიანი აშკარად აცხადებს, რომ საფრანგეთ - გერმანიის შეთანხმება, ევროპაში მშვიდობიანობის დამყარების „ქვაკუთხედად“ უნდა გახდეს. ბრიანისა და შტრეზემანის ტუარიში თათბირის დროს 17 სექტემბერს განხილულ იქმნა ორთავე ქვეყნის საერთო, როგორც ეკონ., ისე პოლიტ. შეთანხმების პრობლემა. ამგვარად, გერმანია, ერთა ლიგაში შესვლისთანავე ჩაება „საერთაშორისო თამაშში“ და მთელ რიგ შეღავათების ფასით იგი მზადაა გახდეს ანტიბრიტანული პოლიტიკის იარაღად საფრანგეთის ხელში. ბრიტანეთის ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფი“ ეხლა ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ საჭიროდ სთვლის მოაგონოს საფრანგეთს, რომ უკანასკნელს ლონდონის თანხმობის გარეშე არ შეუძლია რეინის პროვინციების დაუყონებლივი ევაკუაციის განხორციელება, რამდენაც ეს ვერსალის ხელშეკრულების რევიზიას წარმოადგენს.

ამჟამად ლონდონის წინაშე ნათლად ისახება საფრანგეთ - გერმანიის ბლოკის საფრთხე, რომელიც მახვილის ჩაცემას უქადის ბრიტანეთის გავლენას, როგორც ევროპიულ, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ასეთ პირობებში ბუნებრივია ლონდონის მისწრაფება, რომ ეს დანაკლისი აინაზღაუროს კონტრ-ბლოკით და თავისი მხრით დასაყრდენი მოიპოვოს ფაშისტურ იტალიასთან თანამშრომლობით. ინგლის - იტალიის თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ლოკარნოში, სადაც, როგორც ლონდონი, ისე რომი წარმოდგენილი იყვნენ რეინის პაქტის „გარანტების“ სახით. შემდეგში ბრიტანეთის დიპლომატია ისწრაფვის, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობა დაამყაროს იტალიასთან მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებში. 1925 წ. დეკ. დაიდო ინგლის- იტალიის შეთანხმება აბისინიაში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ, რომელიც თავისი მახვილით აშკარად იყო მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ.

ჩემბერლენის რაპალოში შეხვედრა მუსოლინთან საძირკველს უდებს ნაწილობრივ თანამშრომლობას ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. კერძოდ. ის საფრთხე, ოსმალეთს. რომ იტალიისაგან ელის, ბევრად შეუწყობს ხელს ლონდონს ოსმალეთ - ირაქის ხელშეკრულების დადებაში, რომელიც მოსულის ბედს გადასწყვეტს.

ინგლის - იტალიის თანამშრომლობა ეხლა პრაქტიკულად იჩენს თავს შავი ზღვის აუზში, სადაც იტალია აქტიურად აიარაღებს რუმინიას. და ამით ხელს უწყობს ლონდონის ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელებას.

დაბოლოს, ლონდონი მხარს უჭერს იტალიის ცდას, რომ მიაღწიოს ტანჟერის სტატუტის გადასინჯვას, რომელიც დააწესა 1923 წლის კონფერენციამ, რასაც ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს საფრანგეთი.

ბრიტანეთის დიპლომატია და ბრიტანეთის პრესა აქტიურად უწყობენ ხელს საფრანგეთ - იტალიის წინააღმდეგობათა გაზვიადებას: ამისათვის ისინი იყენებენ უთანხმოებათა მრავალ პუნქტებს, რომელნიც არსებობენ პარიზსა და რომს შორის.

ამგვარად ლონდონი ისწრაფვის, რომ იტალიასთან თავისი თანამშრომლობა დაუპირდაპიროს საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვებას. მომავალი შეხვედრა ჩემბერლენისა მუსოლინთან გენუის ყურეში იახტაზე, შტრეზემანის ბრიანთან ტუარიში შეხვედრის პასუხი იქნება. ამგვარად ისახება ორი მეტოქე საერთაშორისო პოლიტიკური კომბინაცია—ევროპიელ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორი ბლოკი. არსდება სახელმწიფოთაშორისო ლიგები. მსგავსი ომამდე არსებულ კავშირებისა.

განსხვავება მხოლოდ იაშია, რომ მეტოქე ბლოკები ვითარდებიან იმ ორგანიზაციაში, რომელიც ფორმალურად არსებობს „საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად“. საქმით კი საერთაშორისო პოლიტიკური ავანტიურების, ინტრიგების ქაოსს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებული ძალითა და სიცხადით ააშკარავებს ბურჟუაზიული პაციფიზმის იდეის გაკოტრებას.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი 27 სექტემბერი.

ჩინეთის ხალხი ინგლისის წინააღმდეგ

უ-პეი-ფუს არმია დაიშალა; პეკინში მთავრობა აღარ არსებობს

გენერალური საბჭო მხარს უჭერს ჩინეთის მშრომელ ხალხს

პოლონეთის ახალი მთავრობის შედგენა ისევ ბარტელს მიენდო

ინგლისის პროვოკაცია ჩინეთში

ლონდონი, 26 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია ინგლისის მთავრობის პოლიტიკაზე ჩინეთში.

რეზოლიუცია ადასტურებს ჩინეთის საქმეებში ინგლისის პროვოკაციულ ჩარევას და პროტესტს აცხადებს ისეთ გამოსვლების წინააღმდეგ, როგორიც იყო 5 სექტემბერს ვან-სიანისათვის ყუმბარების დაშენა.

„გენერალური საბჭო დარწმუნებულია, ნათქვამია რეზოლიუციაში—რომ ძალის ხმარება აუცილებლათ გამოიწვევს ომის საშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში.

გენერალური საბჭო მოუწოდებს ინგლისის გაერთიანებულ მუშებს, თვალყური ადევნონ ამბების განვითარებას ჩინეთში და ყველა ზომები იხმარონ, რომ ინგლისის მთავრობამ შესწყვიტოს სამხედრო გამოსვლები ჩინეთში და ანგარიში გაუწიოს ჩინეთის ხალხის სამართლიან მოთხოვნილებებს“.

ჩან-ძო-ლინი ჰყიდის ჩინეთს

ტოკიო, 27 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო „ნიპონ დემპო“ ადასტურებს წინანდელ ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა პეკინში დე-მარტელმა იმოგზაურა მუკდენში ჩან-ძო-ლინის სანახავად. **ჩან-ძო-ლინს** განზრახვა აქვს დაუგირაოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის-გზა საფრანგეთს, თუ ის სესხს მისცემს ჩან-ძო-ლინს.

სააგენტოს ცნობით, ეს გეგმა განხორციელებული იქნება.

ინგლისელები ჩინეთში

პეკინი, 27 სექტემბერი. ინგლისის სამხედრო გემები, რომლებიც უჩანში დგანან, მოკლებული არიან შესაძლებლობას გაჰყვინ მდინარეს ზევით, რადგან მდინარეში შეშვებაზე ჩინეთის მეზღვაურები, ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების ბრძანების მიხედვით უარს ეუბნებიან ინგლისის გემებს.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

საპატიო გადასახლება

ვარშავა, 26 სექტემბერი. მთავრობის წრეებში წამოიჭრა პროექტი პილსუდსკის მოწინააღმდეგე გენერალი სიკორსკი, რომელიც ამჟამად ლვოვის სამხედრო ოლქის უფროსია, გაიგზავნოს ელჩად პარიზში იმ მიზნით, რომ მოაცილონ ის არმიას. იტყობინებიან, რომ სიკორსკიმ გადაჭრით უარი სთქვა ამ საპატიო გადასახლებაზე.

რატომ გადადგა ბარტელი

ბერლინი, 27 სექტემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობებით. **ბარტელის კაბინეტი გადადგა იმის გამო, რომ სეიმს განზრახული აქვს შეამციროს სამხედრო ხარჯები.**

სამხედრო ხარჯების შემცირების ტენდენცია მტრულ მანიფესტაციას წარმოადგენს პილსუდსკის მიმართ. კაბინეტს, ალბად, ბარტელი შეადგენს. პილსუდსკის განზრახვა აქვს დაშალოს პარლამენტი შეიარაღებული ძალით, ვინაიდან იგი საერთოდ პარლამენტის წინააღმდეგია.

მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

ისევ ძველი მთავრობა

ვარშავა, 27 სექტემბერი. პოლონეთის პრეზიდენტმა დაამტკიცა მთავრობა ძველი შემადგენლობით.

პილსუდსკი დასცინის სეიმს

ვარშავა, 27 სექტემბერი. პრეზიდენტის მიერ ახალი კაბინეტის წინანდელი შემადგენლობით დამტკიცებამ, იმ მინისტრების გამოუკლებლივ, რომელთაც სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა, სეიმის წრეებზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბარტელმა განაცხადა. რომ როცა მან დრუსკენიკში პილსუდსკის აცნობა მთავრობის გადადგომა, პილსუდსკი „გულიანად იცინოდაო“. „და, მეც—დაუმატა ბარტელმა—ვიცინოდი მასთან ერთად“.

პრესის წარმომადგენლებთან ბარტელის მთელი საუბარი ატარებდა სეიმზე დაცინვის ხასიათს.

ისევ ბარტელი

ვარშავა, 26 სექტემბერი. სასწრაფოდ გამოშვებული „კურიერ პორანნი“ იუწყება, **რომ ბარტელი დრუსკენიკიდან ვარშავაში გამგზავრა. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს რომ ბარტელმა პილსუდსკისთან თათბირის შემდეგ გადასწყვიტა ახალი კაბინეტის შედგენა.**

ლიგის სესიის დახურვა

ბერლინი, 27 სექტემბერი. ერთა ლიგის სესიის დამთავრების გამო, **ხვალ ჟენევიდან მიემგზავრება გერმანიის დელეგაცია.**

სესიის დახურვის დროს, თავმჯდომარე **ნინჩიჩმა** სთქვა, რომ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა და საბჭოს გარდაქმნა წარმოადგენს მიმდინარე სესიის უდიდეს მიღწევას.

ერთა ლიგაში გერმანიის შესვლით, ომის გათავების შემდეგ, მებრძოლნი პირველად ისხდენ ერთად სრული თანხმობით.

საბჭოთა პრესა

საქონლის თვითღირებულება

1925—26 წ. საკავშირო სამრეწველო გეგმით განზრახული იყო საქონლის თვითღირებულების შემცირება 5—6 პროც. თუ ზოგან მოხდა თვითღირებულების რამოდენიმედ გაიაფება, ცალკე დარგებში მისი ზრდა ძალიან მაღალ პროცენტებს უდრის; მაგ.. ლითონის მრეწველობაში აღწევს 5—8 პროც., დუღაბის წარმოებაში—6 პრ., ქაღალდისაში—5 პროც., ხე-ტყის—34 პროც., კალოშების — 24 პროც., ზეთის — 21 პროც. და სხ. ზოგიერთი ნედლეულის გაძვირება, ცუდი მოწყობილობის ფაბრიკა - ქარხნების ამოძრავება, არაკვალიფიციურ მუშათა საგრძნობ რიცხვის ჩაბმა წარმოებაში, შრომის ნაყოფიერების დაცემა და სხ..—ასეთია ამ მოვლენის მიზეზები. 1925—26 წ. კაპიტალურ სამრეწველო მშენებლობაზე დაიხარჯა 800 მილ. მან.. ენერგიული ზომები იქნა მიღებული წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. და ამან შესამჩნევი გავლენა მოახდინა საქონლის თვითღირებულების დაკლებაზე: 1925—26 წ. ის გაიზარდა მხოლოდ 2 პროც. მთელი მრეწველობისათვის. შემდეგისათვის ამ მხრივ უფრო ფართე მუშაობა იქნება შესაძლებელი. ამის გამო **„იზვესტია“** წერს:

„წარმოების თვითღირებულების დაკლების შესაძლებლობისათვის მეტად დამახასიათებელია ის გეგმები, რომლებიც დასახულია საკონტროლო ციფრებით 1926—27 წ. მრეწველობის დარგში. კაპიტალურ სამუშაოების საერთო ჯამი გათვალისწინებულია 845 მილიონ მან. რაოდენობით, ე. ი. დაახლოვებით 6 პროც. უფრო მეტი, ვინემ 1925—26 წ. ფაქტიურად დაიხარჯა. კაპიტალური სამუშაოები ყველაზე მეტად წარმოებს მძიმე ინდუსტრიის გასაფართოებლად, ე. ი. მრეწველობის იმ დარგების განსავითარებლად, სადაც წარმოების თვითღირებულება უფრო გაიზარდა. ამ დარგებში თანხები კაპიტალურ სამუშაოებზე დიდდება 20 პროც. წარსულ წელთან შედარებით. საერთო ჯამიდან, რომლის გადიდება განზრახულია კაპიტალურ სამუშაოების შესასრულებლად მრეწველობაში, 30 პროც. მეტი მოდის 1925—26 წ. დაწყებულ სამუშაოებზე, ხოლო დანარჩენი 70 პროც. მოხმარდება ახალ წარმოებათა აგებას და არსებულ ფაბრიკა - ქარხნების განახლება - გაფართოებას. ამგვარად, ცხადია. რომ მრეწველობის კაპიტალურ ხარჯების გეგმას საფუძვლად უდევს წარმოების ტეხნიკური რაციონალიზაცია, რაც ყველაზე უფრო უზრუნველყოფს თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობას.

ამასთან ერთად მთელი სიგრძე-სიგანით წამოჭრილია შრომის ნაყოფიერების აწევის პრობლემა. მომავალი წლისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდა განსაზღვრულია 8,4 პროც. ასეთი შედეგის მიღება შესაძლებელია მრეწველობის ტეხნიკური მიღწევებით. ერთი მხრით, მეორე მხრივ—ორგანიზაციული ზომებით, უმთავრესად სამუშაო დღის დაცვისათვის და საერთოდ სამუშაო დროის უფრო ინტენსიური გამოყენების სახით“.

ამნაირად. ახალი სამრეწველო მშენებლობა და უკვე არსებულ ფაბრიკა-ქარხნების გადახალისება - გაფართოვება, მთელი საწარმოო პროცესის რაციონალიზაცია, ნედლეულის ყიდვიდან დაწყებული საქონლის გამოშვებით გათავებული, შრომის ნაყოფიერების აწევა და შრომის დისციპლინის განმტკიცება—აი მთავარი გზები საქონლის თვითღირებულების გასაიაფებლად. ამ ამოცანის გადაჭრაში, თავის თავად ცხადია, აქტიურად უნდა იქნან ჩაბმული როგორც მრეწველობის მთელი ტეხნიკური აპარატი, ისე მუშათა ფართე მასსები.

ჩინეთი უმთავრობოთ

მინისტრები გარბიან

პეკინი, 26 სექტემბ. პეკინის მთავრობის მდგომარეობა გაურკვეველია.

მოელოდენ, რომ 24 სექტემბერს სხდომის შემდეგ პრემიერი ტუ-შეიკ-ვეი მეორეჯერ შეიტანდა თხოვნას გადადგომის შესახებ. მაგრამ სხდომა არ შესდგა ქვორუმის უქონლობის გამო, ვინაიდან ზოგიერთ მინისტრის ადრესი ვერ გამოარკვიეს.

ფაქტიურად მთავრობა უკვე აღარ არსებობს, ვინაიდან ტუ-შეიკ-ვეიმ, ხმების მიხედვით, დასტოვა პეკინი, ფინანსთა, შინაგან და გარეშე საქმეთა მინისტრებმაც შეიტანეს თხოვნა გადადგომის შესახებ.

ჩან-ძო-ლინის ჩამოსვლამდე, მდგომარეობა, ალბად არ შეიცვლება.



ჩან-კაი-ში
კანტონის არმიის მთავარსარდალი

ხალხი მოითხოვს

პეკინი, 26 სექტემბ. ვიან-სიანის ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოთხოვნილებით მიმართეს პეკინის მთავრობას, რომ მტკიცე პოლიტიკა აწარმოოს ვიან-სიანის ინციდენტის მოწესრიგების დროს.

„პეკინის მთავრობის წინადადება იანსენისადმი, რომ დაკავებული გემები კონფლიქტის მოგვარებამდე დაუბრუნდეს ინგლისს, შეცდომაა, — ნათქვამია დეპეშაში, — ვინაიდან ეს იქნებოდა კაპიტულიაცია. ინგლისის წაქეზება ახალ ძალმომრეობითი აქტების ჩადენისათვის და ინგლისის პოლიტიკის არაპირდაპირი დადასტურება. **თუ მთავრობა უარს იტყვის ანგარიში გაუწიოს ხალხის მოთხოვნილებას, მაშინ ხალხი თვითონ გაერთიანდება თავისი ქვეყნის დასაცავად. თუ მთავრობა სუსტია, გაერთიანებული ხალხი თვითონ გაანადგურებს ინგლისის გემებს და ალსდგება მოღალატეთა წინააღმდეგ.**

უ-პეი-ფუს არმია დაიშალა

ლონდონი, 26 სექტემბ. **„მორნინგ პოსტის“ ტიანც-ზინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უ-პეი-ფუს არმია უკვე დაშლილად უნდა ჩაითვალოს.**

უ-პეი-ფუმ, კორესპონდენტის აზრით, დაჰკარგა სერიოზული ძალის მნიშვნელობა ეხლანდელ ბრძოლაში.

პრესის აღშფოთება

პეკინი, 26 სექტემბ. **პრესა აღშფოთებულია ინგლისის ნოტის გამო, რომელიც ვან-სიანში მომხდარ შეტაკებას შეეხება.**

„ჩენ ბაო“ გაოცებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისის ნოტა სდუმს იმ მრავალრიცხოვან მსხვერპლის შესახებ, რომელიც ინგლისის ყუმბარებმა მიაყენეს ვან-სიანის მცხოვრებლებს.

განსაკუთრებით აღშფოთებას იწვევს ინგლისის მტკიცება, ვითომც ვან-სიანისათვის ყუმბარების დაშენა ძან-სენის მოქმედებით არის გამოწვეული და ის გარემოება, რომ ინგლისი სრულიად სდუმს ყუმბარების დაშენის პასუხისმგებლობის შესახებ.

პუანკარეს წინააღმდეგ

პარიჟი, 26 სექტემბერი. 116 ქალაქის თავმა და სხვა ადმინისტრატორმა, რომელთა თანამდებობებსაც გაუქმება ემუქრება მთავრობის მიერ ადმინისტრატიულ რეფორმის გატარების გამო, დეპუტატ ფალოზესა, დელადიესა და ფილიპოტის თავმჯდომარეობით დეპუტატთა პალატის შენობაში გამართულ სხდომაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ ადმინისტრატიული რეფორმის შეჩერებას, რომელიც მათი აზრით, ეწინააღმდეგება მოსახლეობის ინტერესებს და არც თუ რაიმე ეკონომიას იძლევა.

მას შემდეგ, რაც პუანკარემ მათი დელეგაციის მიღებაზე უარი სთქვა, **ქალაქის თავებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია და დაადგინეს 29 სექტემბრისათვის მოიწვიონ ყველა დაინტერესებულ დეპუტატებისა და სენატორების კრება; იმ შემთხვევაში თუ ისინი კრებას არ დაესწრებიან, მათ ბოიკოტის გამოცხადებას ემუქრებიან მომავალი არჩევნების დროს.**

საბერძნეთის ახალი კონსტიტუცია

პრეზიდენტის კარნახით

ათინა, 26 სექტემბ. სპეციალური **საპარლამენტო კომისიის მიერ შემუშავებული საბერძნეთის ახალი კონსტიტუცია** დამტკიცებულია პრეზიდენტის მიერ და გამოქვეყნებულია მთავრობის ორგანო „ოფიციელ“-ში.

ახალი კონსტიტუციით, ერთ და იგივე პირს არ შეუძლია პრემიერ - მინისტრის თანამდებობაზე ყოფნა ერთ წელზე მეტს.

ამასთან ერთად გამოქვეყნებულია პრეზიდენტის დეკრეტი, რომლითაც საპარლამენტო არჩევნები დანიშნულია 24 ოქტომბრისათვის.

პრეზიდენტის მეორე დეკრეტით მოხსნილია სამხედრო მდგომარეობა.

პანგალოსის წერილი

ათინა, 26 სექტემბ. დატყვევებულმა ყოფილმა დიქტატორმა **პანგალოსმა** წერილით მიმართა გაზეთ „ელევთერონ ტიპოს“ რედაქციას. წერილში ის პროტესტს აცხადებს იმ განცხადებების წინააღმდეგ, რომელთაც მას მიაწერენ. პანგალოსი აცხადებს, რომ მას არასოდეს არ ჰქონია განზრახვა ოსმალეთისათვის ომი გამოეცხადებინა.

მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

გაფიცვის ზარალი

ლონდონი, 27 სექტემბერი. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა კუნლიფ ლისტერმა უორინგტონში წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა სანახშირო კონფლიქტის მალე მოგვარების აუცილებლობა. ლისტერის გამოანგარიშებით გაფიცვით გამოწვეული პირდაპირი ზარალი, (არაპირდაპირი ზარალის ჩაუთვლელად) უდრის 200 მილ. გირ. სტერლინგს.

თემთა პალატაში

ლონდონი, 27 სექტემბერი. „ტაიმსი“ იუწყება, რომ საერთო აზრის მიხედვით, **მომავალი დებატები თემთა პალატაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება იმ დებატებს შორის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თემთა პალატაში სანახშირო საკითხის გარშემო.**

თემთა პალატის ლიბერალური და მუშათა პარტიის წევრები მიწვეული არიან პარტიულ კრებაზე პალატის სხდომის წინ, რომ გამოარკვიონ თავიანთი პოზიცია დებატების დროს.

არავითარი დათმობა

ლონდონი, 26 სექტემბერი. მრავალრიცხოვან მიტინგზე გამოსვლის დროს **კუკმა განაცხადა: „ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ მიღწეული იქნება შეთანხმება იმ პირობების მიხედვით, რომელსაც მთავრობა გვიყენებს. შესაძლებელია შიმშილით გვაიძულონ დავთანხმდეთ ამ პირობებზე, მაგრამ ასეთ შეთანხმებას ჩვენ დავარღვევთ პირველ შესაძლებლობისათანავე.** ჩვენ წარუდგინეთ უკანასკნელი წინადადება არა იმიტომ, რომ თითქოს გვწამდა, რომ ის გვიშველიდა, ჩვენ ჩავიდინეთ ეს იმიტომ, რომ გვინდოდა ბოლო მოგვეღო შემალაროეთა შემდეგი ტანჯვა - წამებისათვის და აგრეთვე იმიტომ. რომ ინგლისის პროფესიონალურმა მოძრაობამ არ აღმოგვიჩინა რაიმე დახმარება“.

მოღალატე ხოჯესი

ლონდონი, 26 სექტემბერი. **ხოჯესის მოწოდების საპასუხოდ კუკმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ამათრახებს მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის მდივნის მოღალატურ გამოსვლას. „თანამედროვე ბრძოლაში— სთქვა კუკმა—ხოჯესი თავიდანვე გამოდიოდა მთლიანი ფრონტით მთავრობასთან და მაღაროს მეპატრონეებთან ერთად;** მოითხოვდა სამუშაო დღის გაგრძელებას და ხელფასის შემცირებას. საკითხი ხოჯესის შესახებ დასმული იქნება მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის მომავალ სხდომაზე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მემაღაროები არ გადაიხდიან მომავალში საერთაშორისო ფედერაციის საწევრო გადასახადს მანამ ხოჯესი იქნება მდივნის თანამდებობაზე“.

საპროტესტო რეზოლიუციები

ლონდონი, 26 სექტემბერი. მას შემდეგ, რაც მთავრობამ უარყო მემაღაროეთა აღმასკომის წინადადება, **კუკი** გამოვიდა შემდეგი განცხადებით: **„იმ დათმობამ, რომელზედაც წავიდა ფედერაციის აღმასკომი თავის უკანასკნელ წინადადებებში, გამოიწვია ენერგიული წინააღმდეგობა მემაღაროეთა ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ.** ჩვენ მივიღეთ ტელეფონის საშუალებით ყველა სანახშირო რაიონებიდან აურაცხელი საპროტესტო რეზოლიუციები დათმობის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ უკანასკნელი წინადადების მიცემის დროს.

დასასრულ მე უნდა აღვნიშნო, რომ დიურჰემის და სტაფორდშირის მემაღაროები მოითხოვენ, რათა ფედერაციის აღმასკომმა დაჟინებით მოითხოვოს სამუშაო ხელფასის მომატება, ვინაიდან ქვანახშირის ფასმა მოიმატა“.

მუშათა ბრძოლა

ჰამბურგის ნავთსადგურში

ბერლინი, 27 სექტემბერი. ჰამბურგის ნავთსადგურში მოსალოდნელია გაფიცვა იმის გამო, რომ მუშები წინააღმდეგია სპეციალური კომისიის დადგენილებისა, რომელმაც ხელფასის შესახებ არსებული შეთანხმება გააგრძელა სამი თვით. ხვალ უნიონები გამოიტანენ თავიანთ დადგენილებებს.

უკმაყოფილო არიან აგრეთვე გემთსაშენის მუშებიც.

ავსტრიის მოსამსახურენი

ბერლინი, 27 სექტემბერი. სამოქალაქო მოსამსახურეთა მასიურმა მიტინგმა ვენაში უარყო მთავრობის პირობები ხელფასის შესახებ. გადაწყვეტილია ულტიმატუმის წარდგენა და იმ შემთხვევაში, თუ მას მთავრობა არ მიიღებს, დაიწყება გაფიცვა.

სესხი პოლონეთს

ვარშავა, 26 სექტემბერი. პრესის ცნობების თანახმად, ამერიკელ ბანკირთა სახლმა „დილლონ, რიდ და კომპანია“ დასთანხმდა მისცეს პოლონეთს 15 მილ. დოლარი, როგორც მეორე ნაწილი იმ 50 მილ. დოლარი სესხისა, რომელიც შარშან პოლონეთმა აიღო. პროცენტების გამორიცხვის შემდეგ პოლონეთის ხაზინა მიიღებს 12 მილ. დოლარზე ცოტა მეტს.

„დილლონ, რიდ და კომპანიას“ ამ თანხმობას უყურებენ, როგორც კემერერის მისიის პირველ შედეგს.

ხოჯესი და კუკი

ბერლინი, 27 სექტემბერი. „სანდი ტაიმსი“ განსაკუთრებულ მდგომარეობის ალდგენის შესახებ ანგარიშში აღნიშნავს მემაღაროეთა ლიდერების უიმედო მდგომარეობას, რაც კარგად სჩანს იმ გაწიწმატებულ პასუხიდან, რომელიც ხოჯესმა გასცა კუკს მასზე თავდასხმის გამო. ხოჯესი ამბობს: „ლოზუნგი მოკვდა და მილიონი მუშების ნდობაც დაიხვრა არა სწორი მოქმედების გამო.“

ლონდონი, 27 სექტემბერი. ხოჯესი მკაცრად ილაშქრებს რა კუკის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ მემაღაროეთა ინტერესებს მსხვერპლად ეწირება კუკიზმს.

კუკის საპასუხო სიტყვაში ნათქვამია: „ხოჯესი უკვე ჩვენი მეგობარი კი არა, არამედ მოღალატეა და ის ყველაზედ უფრო დამნაშავეა მათ შორის, რომელთაც მთავრობას ჩაუნერგეს რვა საათის სამუშაო დღის იდეა.

8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ

ბერლინი, 27 სექტემბერი. რადსტოკში წარმოთქმულ სიტყვაში კუკმა განაცხადა, რომ მას სწამს ორგანიზაციული უკან დახევა. ამ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ იმის გამო, რომ სამშაბათს მოწვეულია მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია. თავის სიტყვაში კუკმა სთქვა: „თუ ჩვენ იძულებულნი ვართ უკან დავიხიოთ და მივიღოთ კომპრომისი, ჩვენ ეს დისციპლინის დაცვის გზით უნდა განვახორციელოთ. მე არ მიყვარს იძულებითი არბიტრაჟი, მაგრამ მივიღებ არბიტრაჟს, ვინაიდან მე ვიცი, რომ სხვანაირად არ შეიძლება სამართლიანად იქნას გადაწყვეტილი საკითხი სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ. **ჩვენ არ ვსცნობთ 8 საათის სამუშაო დღეს და ჩვენ ეს როგორმე უნდა ავიცილოთ.** ჩვენ მზად ვართ განვაახლოთ მოლაპარაკება შემცირებული ეროვნული მინიმუმის საფუძველზე: ჩვენ ვიღებთ სანახშირო კომისიის მოხსენებას და ამით არ შევქმნით დაბრკოლებებს. ჩვენ მზად ვართ ეს მოხსენება განსამარტებლად გადავცეთ იმ პირებს, რომლებმაც იგი შეიმუშავეს.

როგორც იუწყებიან, პრემიერი ხვალ დაწვრილებით მოხსენებას გააკეთებს თემთა პალატაში იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც სწარმოებდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში და იმ მიზეზებზე, რომლის გამოც კაბინეტმა წამოაყენა, წინადადება ტრიბუნალის შესახებ იმის შემდეგ, როცა მემაღაროენი დაუბრუნდენ მუშაობას. ფიქრობენ, რომ დებატები სამი დღე გაგრძელდება. თუმცა სამუშაოზე დაბრუნებულთა რიცხვი იზრდება, მაგრამ **ზოგიერთ მსხვილ სანახშირო რაიონებში ჯერ არ ყოფილა სამუშაოზე დაბრუნების შემთხვევა.**

ასეთ რაიონებს ეკუთვნიან ლანკაშირი, იორკშირი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საგრაფოები.

მოღალატეების გასტროლები

ლონდონი, 26 სექტემბერი. **ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ალმშენებელ მუშათა კავშირის თავმჯდომარე — ჯორჯ ხიკსი.**

ხიკსი და ბრომლეი როგორც გენერალურ საბჭოს დელეგატები გაემგზავრენ ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის შრომის ფედერაციის კონფერენციაზე დასასწრებლათ.

სადელეგატო კონფერენციის წინ

ლონდონი, 27 სექტემბერი. იმის გამო, რომ ოთხშაბათს მოწვეულია მემაღაროეთა ეროვნული სადელეგატო კონფერენცია, მემაღაროეთა აღმას. დღეს დანიშნა ახალი სხდომა. მოსმენილ იქნება მემაღაროეთა მოხსენებანი სანახშირო რაიონებში მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ დაიარეს ამ კვირაში.

სადელეგატო კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს: მისაღებია თუ არა მთავრობის წინადადება, რომელიც ჯერ კიდევ ძალაში რჩება, როგორც სარაიონო შეთანხმებათა ეროვნული გადასინჯვის საშუალება.

უმთავრესი ყურადღება მიქცეულია პარლამენტის სხდომისაკენ, რომელმაც უნდა გააგრძელოს მომავალში საგანგებო მდგომარეობა, იმის გამო, რომ გაფიცვა კიდევ არ შესწყდა.

კანადის ახალი მთავრობა

ბერლინი, 27 სექტემბერი. ოტტავიდან იუწყებიან, რომ მაკენზი კინგის კაბინეტში შევიდენ კინგის კაბინეტის წინანდელი მინისტრები: **რობბი** — ფინანსთა მინისტრად, **ლაპოინტი** — იუსტიციის მინისტრად, **დანნინგი** — რკინისგზების მინისტრად, **კარდინი** — საზღვაო, **მავერველლი** — მიწათმოქმედების მინისტრად და **სტიუარტი** — შინაგან საქმეთა მინისტრად. პროგრესიული პარტიის ლიდერი **ფორკი** დაინიშნა იმიგრაციის მინისტრად. **დან დიურანდი** კაბინეტში შედის უპორტფელო მინისტრად.

ლიტვის პრემიერის ვიზიტი

კოვნო, 26 სექტემბერი. **კვირას ღამით ჩიჩერინისადმი საპასუხო ვიზიტისათვის კოვნოდან გამოემგზავრა ლიტვის პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი სლეჟევიჩი.** მინისტრს თან ახლავენ გარეშე საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი **პურიცკისი,** გარეშე საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი **პიატკევიჩი** და სახალხო-სოფლელთა პარტიის ცენტრალური ორგანოს „ლეტუვოს ჟინიოს“ რედაქტორი **პრონცკოუსი.** ამავე დროს მოსკოვისაკენ გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში — ალექსანდროვსკი.

რადიო-ტელეგრაფი გემებზე

მოსკოვი, 27 სექტემბ. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ საზღვაო სავაჭრო ფლოტის ყველა გემებზე, რომლებიც შორეულად მგზავრობენ კავშირის დროშით, დადგმული იქნას სარადიოტელეგრაფო მიმღებ-გადამცემი აპარატები. ასეთივე აპარატები აუცილებლივ უნდა დაიდგას ყველა სამგზავრო გემებზე, რომელთა ხალასი წონა 750 ტონა იქნება, შორეული მგზავრობის ყველა სამგზავრო გემებზე, აგრეთვე, სხვადასხვა ზღვებში არსებულ საკავშირო ნავთსადგურებს შორის მავალ გემებზე; 1500 და მეტი ტევადობის საბარგო გემებზე, ყველა საზღვაო და სანავთსადგურო ყინვამტეხ გემებზე და მაშველ გემებზე, რომელთაც აქვთ 500 და მეტი ძალის მქონე მამოძრავებლები.

ყველა ჩამოთვლილ გემებზე რადიომოწყობილობა უნდა დაიდგას არა უგვიანეს 1927 წლის 1-ლი მაისისა.

კონვენცია მონობის შესახებ

ლონდონი, 27 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგის გუშინდელ სხდომაზე 20 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს კონვენციას მონობის შესახებ. ეს კონვენცია ლიგის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება.

პოლონეთის პროვოკაცია

კოვნო, 27 სექტემბერი. გუშინ კოვნოში უნდა შემდგარიყო კათოლიკ-პოლონელების მიერ მოწყობილი ხატებით მსვლელობა. მსვლელობის დაწყების წინ ნაციონალისტურად განწყობილმა ლიტველებმა აუტეხეს ჩხუბი მანიფესტანტებს. ჩხუბის დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი. პოლიციამ გაახავა მოჩხუბრები.

ლიტველთა წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ეს შეტაკება საპროვოკაციო მიზნით გამოწვეული იყო იმ ელემენტების მიერ, რომლებიც თანაუგრძნობენ პოლონელებს; მათ მიზნად ქონდათ, რომ პილსუდსკისათვის მიეცათ მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროვებენ ლიტველები პოლონელებს.

„ევროპის მშვიდობიანობის საფუძველი“

ბერლინი, 27 სექტემბერი. „მატენის“ თანამშრომელთან ზაუერვეინთან საუბარში შტრეზემანმა აღიარა, რომ საფრანგეთ-გერმანიის შერიგებას წინ ელობება კიდევ სხვადასხვა დაბრკოლებები, მაგრამ, დასძინა, რომ „სადაც კეთილი სურვილია, იქ გზებიც გამოინახება“.

შტრეზემანის განცხადებით, იმან და ბრიანმა ტუარში ამ გზით მიაღწია შეთანხმებას; ამასთან ერთად, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება განსაკუთრებით მნიშვნელობას მიიღებდა, რომ მას შეუერთდებოდენ ლოკარნოში მონაწილე ყველა სახელმწიფოები.

შტრეზემანმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია გადასცეს ტუარში საუბარი სავსებით, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ საუბრის მნიშვნელოვან საკითხებს შორის იყო საკითხი დათმობების შესახებ არსებულ ეკონომიურ მდგომარეობის შემსუბუქების, ფრანკის სტაბილიზაციის და რეინლანდის ევაკუაციის დაჩქარების მიზნით.

შტრეზემანის სიტყვით, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება წარმოადგენს ევროპის მშვიდობიანობის საფუძველს და საიმპერიო მთავრობას, რომელიც ასეთ პოლიტიკას მისდევს, შეუძლია იქონიოს გერმანიის ხალხის ერთსულოვანი დახმარების იმედი.

ღამის ცნობები

ინგლისს გემები დაუბრუნეს

ლონდონი, 26 სექტემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ მოლაპარაკების შემდეგ ჩინეთის გენერალმა ჩან-სენმა ინგლისს დაუბრუნა 4 სექტემბერს დაკავებული გემები „ვან სუნი“ და „ვან სიანი“.

ოკუპანტების თარეში

ბერლინი, 27 სექტემბერი. გერმერსჰეიმში (პალატინატი) საფრანგეთის ოფიცერმა მოჰკლა ორი გერმანელი მოქალაქე და მძიმედ დასჭრა მესამე. ქალაქში მღელვარებაა. დაიწყეს გამოძიება როგორც საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ისე გერმანიის პოლიციამ.

ქარიშხალი ბრაზილიაში

ლონდონი, 27 სექტემბერი. ქალაქი იტამში ბრაზილიის პროვინციაში (პერნამბუკოში) ქარიშხალმა დაანგრია. მოკვდა 200 კაცი.

1904 წ. გაწვევა

მოსკოვი, 27 სექტემბერი. წითელი არმიის სამმართველოს ცნობების თანახმად 1904 წ. დაბადებულთა გაწვევა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს.

პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი

ბერლინი, 27 სექტემბერი. ბერლინში გაიხსნა პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს ესწრებიან 17 სახელმწიფოს წარმომადგენლები.

გაფიცვისთვის ემზადებიან

ბერლინი, 26 სექტემბერი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა, რომელთაც წარუდგინეს მოთხოვნილება 20% ხელფასის მომატების შესახებ, არ დაეთანხმნენ სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას, ვინაიდან ეს დადგენილება უცვლელად სტოვებს ხელფასს.

მუსოლინი ინტერვენციის მომხრეა

პარიზი, 27 სექტემბერი. ჩემბერლენსა და მუსოლინის შორის ახლო ხანში მოსალოდნელ შეხვედრის გამო იტალიის დიპლომატია დიდ აქტივობას იჩენს.

როგორც ირწმუნებიან, მუსოლინი სახელმწიფოთა ჩინეთის საქმეებში ჩარევის მომხრეა.

ინგლისის მუშა-ახალგაზ. დელეგაცია

ლონდონი, 26 სექტემბერი. საბჭოთა კავშირისაკენ გამოემგზავრა ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია, 13 კაცის შემადგენლობით. ყველა დელეგატები არიან კომუნისტური ახალგაზრდობის ლიგის და, აგრეთვე მუშათა პარტიისა და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ახალგაზრდათა სექციის წევრები.

უარი სთქვეს

პარიზი, 26 სექტემბერი. გაზეთ „ჰუმანიტეს“ ცნობით, **დიუნკირხენში გამოგზავნილი ჯარის ერთმა ასეულმა უარი განაცხადა ნავთსადგურის გაფიცულ მუშების ნაცვლად გასულიყო სამუშაოზე.**

განაჩენი მეზღვაურებზე

პარიზი, 26 სექტემბერი. ტულონის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი ორი მეზღვაურის საქმეზე, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ორწყება მუშაობაზე უარის თქმისა და ცუდი კვების წინააღმდეგ პროტესტის განცხადების გამო. მეზღვაურ პტიტოს მიესაჯა 3 წლის ციხე, ხოლო ბრიის — 2.

ტოკიო-ვარშავა

ვარშავა, 26 სექტემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ პოლონელმა მფრინავმა ორლინსკიმ **დაასრულა ტოკიო-ვარშავას გადაფრენა** და 26 სექტემბრის დღის 2 საათზე დაეშვა ვარშავის ჰაეროდრომზე. უკანასკნელი მანძილი — მოსკოვი-ვარშავა — ორლინსკიმ გადაიარა 6 საათში.

ოსმალეთ-საბჭოთა მეგობრობა

ანგორა, 26 სექტემბერი. ოსმალეთის პრესა აღნიშნავს საბჭოთა-ოსმალეთის მეგობრობის განმტკიცებას. პრესა იხსენიებს კავკასიის საზღვარის დამყარებას და ახლო მომავალში სავაჭრო ხელშეკრულების დადებას.

თემთა პალატა გაფიცვის შესახებ

ლონდონი, 28 სექტემბერი. თემთა პალატაში მოხდა კამათი სანახშირო გაფიცვის მდგომარეობის საკითხის შესახებ.

ბოლდუინმა ილაპარაკა მთავრობის, როგორც შუამავალის მონაწილეობის შესახებ და მთელი გაფიცვის მიმოხილვა გააკეთა. პრემიერის სიტყვით, სანახშირო მრეწველობა ყოველთვის იჩენდა საკუთარ საქმის მოგვარების უნარს. ჩერჩილმა, პრემიერის მოადგილეთ ყოფნის დროს მემაღაროებსა და მაღაროს მეპატრონეთ დაუგზავნა მოწვევა კონფერენციაზე. მემაღაროებმა მიიღეს, მაგრამ მაღაროს მეპატრონეებმა უარი სთქვეს; უკანასკნელთა მხრით ეს იყო სერიოზული შეცდომა, სიბრიყვე და უზრდელობა მთავრობის მიმართ. ბოლდუინი დაბრუნების შემდეგ სცდილობდა შეთანხმების ეროვნული მასშტაბით მიღწევას.

მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ჩერჩილის აზრით 8 საათის სამუშაო დღე გზა იყო შეთანხმებისაკენ, მაგრამ ეს იყო ამასთანავე მთავრობის დათმობა მაღაროს მეპატრონეებისადმი. აუცილებელია გამოვაცხადოთ, რომ ეს კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ ძალაში არ შევა განსაზღვრულ დრომდე.

ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ თუ მთავრობა მემაღაროეთა პირობებს სთვლიდა მისაღებად, მაშინ მაღაროები უნდა გაეხსნა.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ არც მემაღაროეთა ფედერაციას, არც მაღაროს მეპატრონეების წარმომადგენლებს არ მიულიათ არავითარი დაპირებანი იმისა, რომ ისინი მიიღებენ იმას, რაც სურთ იმ შემთხვევაში თუ შესდგება კონფერენცია ან ეროვნული შეთანხმება იქნება მიღწეული. კონფერენცია რომ შემდგარიყო, მდგომარეობა გამოირკვეოდა. ჩერჩილს შეგნებული აქვს ორთავე მხარის გრძნობანი, მაგრამ ამასთანავე შექმნილ მდგომარეობაში ხედავს კანონიერ მთავრობისადმი უპატივცემულობას.

ოქროს ფრანკის შესყიდვა

ფაშისტები უკმაყოფილონი არიან

პარიზი, 27 სექტემბერი. **საფრანგეთის ბანკმა გამოაქვეყნა განცხადება ოქროს ფრანკის შესყიდვის შესახებ.**

ამისათვის ფაშისტური გაზეთი „ნუვო სიეკლი“ მოუწოდებს მოსახლეობას მთავრობას არ მიჰყიდოს ოქრო, რადგან მთავრობის მიერ შეძლეულ ფასს, გრამზე 20 ფრანკს, სთვლის ძალიან მცირედ, და აღნიშნავს, რომ მთავრობას განზრახული აქვს შესყიდული ოქრო მოიხმაროს ინტერვენციისათვის ბირჟაზე. გაზეთი მოითხოვს, რომ მთავრობამ ამ გზით აღებული ოქრო მოახმაროს ვალიუტის უზრუნველყოფას.

ინგლისის ფლოტის მანევრები

ლონდონი, 27 სექტემბერი. **ატლანტის ფლოტის სხვადასხვა გემები შეგროვილია კრომარტი-ფიორდში სამხედრო მანევრებისათვის,** რომელიც დღეს დაიწყება.

შეკრებილია 12 მსხვილი საომარი ერთეული.

ლონდონი, 26 სექტემბერი. დღეს შოტლანდიის ნაპირებთან დაიწყო ინგლისის ფლოტის ატლანტიური ესკადრის მანევრები. ესკადრას ხელმძღვანელობს ადმირალი [illegible].

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. „რუსეთ-ამერიკის სავაჭრო კამპანიამ“ წინადადება მისცა „ჩრდილო-დასავლეთ სავაჭრო პალატას“ გაიბას სავაჭრო კავშირი და დათანხმდა საიმპორტო ოპერაციებისათვის კრედიტების მიცემას.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

ტოკიო, 27 სექტემბერი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტოკიოში საბჭოთა კავშირის რწმუნებულის საუბარი უცხოეთის ჟურნალისტებთან. **რწმუნებული უარსყოფს ცნობებს საბჭოთა კავშირის აგრესიული განზრახვების შესახებ მანჯურიასა და მონგოლეთში. ის აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სურვილი არის იაპონიასთან პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა განამტკიცოს.**

ამერიკის ქვანახშირი

პარიზი, 26 სექტემბერი. როგორც საფინანსო-ეკონომიური სააგენტო იუწყება, **საფრანგეთის მრეწველებმა შეერთებულ შტატებში დაუკვეთეს ქვანახშირის დიდი პარტია.** „თუ საფრანგეთის მთავრობა, ნათქვამია ცნობაში, არ მიმართავს შემზღუდველ ზომებს და არ შეეცდება, რომ გერმანიამ მიაწოდოს საფრანგეთს ქვანახშირის საჭირო რაოდენობა, როგორც ის ვალდებულია მოიქცეს, მაშინ ამერიკაში ქვანახშირის შეძენა გავლენას მოახდენს ფრანკის კურსზე.

რუსეთ-აზიის ბანკის დახურვა

ხარბინი, 27 სექტემბერი. დღის რუსეთ-აზიის ბანკმა ჩინეთში შესწყვიტა ოპერაციები პარიზიდან მიღებული ბანკის გამგეობის ბრძანების თანახმად.

ბანკის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბანკი თავისი ნებით ახდენს ლიკვიდაციას ჩინეთში.

ბანკის დახურვამ დიდი მღელვარება გამოიწვია ბანკში ფულის შემტანებს შორის. ფულის შემტანთა ჯგუფები გროვდებიან ბანკის განყოფილებებთან. სახელდახელო ანგარიშების მქონეთ, რომელთა შორის არიან ჩინეთის პოლიციის სამმართველო, ჩინეთის ბანკები, საბაჟო და საგადასახადო დაწესებულებანი, მილიონობით ზარალი ელით. ბანკმა მიიღო ბრძანება, რომ ლიკვიდაცია საფრანგეთის კანონების მიხედვით მოახდინოს. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია კონფლიქტი ბანკისა და ჩინეთის ხელისუფლების შორის, რომელიც არ სცნობს ბანკის ექსტერიტორიალობას და მოითხოვს ლიკვიდაციის თავისი კონტროლით ჩატარებას.

იძულებითი კომპრომისი

შანხაი, 27 სექტემბერი. სამი თვის ბრძოლის შემდეგ იაპონიის ფაბრიკის მუშები იძულებული გახდენ განეახლებინათ მუშაობა, რადგან გაფიცვის ფონდი გამოელიათ. მათ დასდვეს კომპრომისული ხელშეკრულება. ინგლისის ფაბრიკის მუშები, რიცხვით 10.000 კაცი, განაგრძობენ გაფიცვას.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ჰოლანდიელ ახალგაზრდა მუშათა დელეგაცია

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. 26 სექტემბერს ჩამოვიდა ჰოლანდიელ ახალგაზრდა მუშათა დელეგაცია. დელეგაციამ დაათვალიერა რევოლიუციის მუზეუმი, ერმიტაჟი, ქარხანა „წითელი პუტილოველი“ და „ტრეუგოლნიკი“.

დელეგაციის თავმჯდომარე სტელმანმა სთქვა, რომ იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა როგორც — დემოკრატი და მიდის როგორც კომუნისტი.

სამხატვრო აკადემიის გამოფენა

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. 26 სექტემბერს სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა რევოლიუციონური რუსეთის მხატვართა ასოციაციის გამოფენა. გამოფენაზე შეგროვილია 1.500 სურათი და 80 ქანდაკება, 135 ლენინგრადელი და მოსკოველი მხატვრები და მოქანდაკენი.

ორლინსკის გადაფრენა

მოსკოვი, 27 სექტემბერი. 25 სექტემბერს მოსკოვიდან ვარშავაში გადაფრინდა პოლონელი მფრინავი ორლინსკი. **მფრინავ ორლინსკისა და მექანიკოს კუბიაკის პატივსაცემად საბჭოთა კავშირის ავიაქიმის პრეზიდიუმმა 24 სექტემბერს ბანკეტი გამართა.**

თოვლს თავი დააღწიეს

ნოვოროსიისკი, 27 სექტემბერი. სოჭის რაიონის მთის საძოვრებზე გლეხებმა თავისი საქონლით თავი დააღწიეს თოვლს. უმცირესმა ნაწილმა, უმთავრესად მსხვილმა მესაქონლეებმა გადაიარეს უღელტეხილი მაიკოპის ოლქში, დანარჩენმა კი თოვლში გაიკვლიეს გზა.

მემაღაროეთა დელეგაცია

როსტოვ-დონზე, 27 სექტემბ. 25 სექტემბერს დონის აუზიდან ჩამოვიდა ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია.

საბუქსირო გემები

ლენინგრადი, 27 სექტემბერი. მარტის სახელობის გემსაშენ ქარხანაში დაიწყეს 6 საბუქსიროების აშენება კასპიის ზღვისათვის.

რადიოგრამა „ამხანაგიდან“

მოსკოვი, 26 სექტემბერი. „ამხანაგიდან“ მიღებული რადიოგრამა გადმოგვცემს შემდეგს:

„25 სექტემბრის დღის 12 საათი და 22 წუთი — ჩრდილოეთის განიდის 43 გრადუსი და დასავლეთის გრძიდის 10 გრადუსი გრინვიჩიდან.

განვაგრძობთ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს რადიოცნობების მიღებას. ყოველდღე უშვებთ ბიულეტენებს. ყველაფერი კარგადაა. კაპიტანი დუკმანოვი“.

ნავთის გადაზიდვა

მოსკოვი, 27 სექტემბერი. წყალთა ცენტრალურმა სამმართველომ გადასწყვიტა სასწრაფო ხელშეკრულება დასდოს სახელმწიფო მექანიკურ ქარხანასთან ნავთის გადასაზიდი 15 ბარჟის აგების შესახებ.

ბუნებრივი მტუტნადა (სოდა)

ზაბაიკალიე, 26 სექტემბ. მდინარე ონონის ნაპირებთან აღმოჩენილია 6 მტუტნადიანი ტბა.

მტუტნადას ჩვენ ჩვეულებრივად ვღებულობთ საფაბრიკო დამუშავების წესით, ხოლო ბუნებრივი მტუტნადა ძა-

მომგებიანი სესხის გამოშვება

სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა მიმართვა

მოსკოვი, 27 სექტემბერი. **კერძო სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა წარმომადგენლებმა წერილით მიმართეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.** წერილში ნათქვამია: „**მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა საინიციატივო ჯგუფი ითვალისწინებს რა მთავრობის მიერ გამოშვებულ მომგებიანი სესხის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და ამ სესხში თავისუფალი თანხების მოთავსების სარგებლიანობას, იწვევს სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა საზოგადო კრებას იმ მიზნით, რომ მოეწყოს კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სესხის რეალიზაციას.**

ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ ეს სესხი არის ერთი პირველი სესხთაგანი, რომელიც ქმნის საფუძველს არა მარტო ფულის ბრუნვისა, არამედ მთელი კავშირის სახალხო მეურნეობისათვის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ინიციატივა ჰპოვებს თქვენის მხრით სრულ თანაგრძნობას და ხელსაც შეუწყობთ მას“.

ამხ. ბრიუხანოვის აზრი სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა მიმართვის შესახებ

მოსკოვი, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა მომგებიან სესხში კერძო კაპიტალის მონაწილეობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

„კერძო კაპიტალის წარმომადგენელთა ჯგუფი გამოდის ინიციატორის როლში, რომ მოაწყოს კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს 1926 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის რეალიზაციას.

წინედ, პირველ და მეორე მომგებიანი სესხის გამოშვების დროს, კერძო კაპიტალი არ იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო სესხში, და თუ იღებდა, იგი მეტად დიდ პროცენტს თხოულობდა. სახელმწიფო არ სარგებლობდა კერძო კაპიტალის კრედიტით. სახელმწიფოს თამასუქების ფასი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა ვალდებულებანი.

1925 წელში არსებითი ცვლილება მოხდა კერძო კაპიტალის სახელმწიფო სესხისადმი დამოკიდებულების საკითხში. კერძო კაპიტალმა იწყო თავისი თანხების დაბანდება სახელმწიფო სესხში; მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1925 წლის მოკლევადიანი ხუთ პროცენტიანი სესხისა და მეორე საგლეხო სესხის რეალიზაციაში.

დაბოლოს, კერძო კაპიტალის ეხლანდელი გამოსვლა ახალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავს.

კერძო კაპიტალის ყველაზე გავლენიანმა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს აქტიურად ხელი შეუწყონ ახალ სახელმწიფო სესხის რეალიზაციას.

სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი საზოგადოების დაარსება მოწმობს იმას, რომ **საბჭოთა კავშირის სახელმწფო კრედიტმა ნდობა მოიპოვა ჩვენი მოსახლეობის ყველა ფენებში**“.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

უმაღლეს სასწავლებლებში

ბაქო, 27 სექტემბერი. დაასრულა მუშაობა აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლების გამომცდელმა კომისიამ. გამოსცადეს 1.300 კაცი. დაიწყო სტუდენტების ჩარიცხვა, რაც დასრულდება 1-ლი ოქტომბრისთვის; ამავე რიცხვიდან იწყება სწავლაც. უმაღ. სასწავლებლებში სულ ჩარიცხულ უნდა იქნეს 300 კაცი.

მოსავალი

ბაქო, 27 სექტემბერი. რესპუბლიკის საექსპერტო კომისიის ცნობების მიხედვით, აზერბეიჯანში მიმდინარე წელში შემოდგომაზე ნათესი პურის მოსავალი განისაზღვრება საშუალოდ 55 ფუთით დესეტინაზე; საგაზაფხულო ნათესებიდან — კი 43 ფუთით.

შემოდგომაზე ნათესი ქერის მოსავალი უდრის 60 ფუთს და გაზაფხულზე ნათესი ქერისა — 43 ფუთს.

უდიდესი მოსავალი მოვიდა ნახიჩევანში. პური — 80 ფუთი, ქერი — 90 ფუთი დესეტინაზე. უმცირესი მოსავალი მოვიდა მთიან ყარაბახში და ბაქოს მაზრაში: პური — 30 ფ., ქერი — 25 ფ. გამცდარი ნათესების არე აზერბეიჯანში უდრის 32,300 დესეტინას.

პარტიული ცხოვრება

ცეკას ხაზს იწონებენ

ბერლინი, 27 სექტემბერი. ტიურინგიის ოლქში დასრულდა კომპარტიის სადელეგატო კონფერენციები. ტიურინგიის ოლქიდან კონფერენციას დაესწრო 369 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. კომპარტიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუციას, რომელიც სდგას საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობის პლატფორმაზე და იწონებს გერმანიის კომპარტიის ცეკას მიერ ულტრა-მემარცხენე გამთიშავების მასლოვისა და რუტ ფიშერის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, ხმა მისცა 334 დელეგატმა 26 წინააღმდეგ, 9 დელეგატმა თავი შეიკავა.

ვუიოვიჩის და გურალსკის საქმე

მოსკოვი, 27 სექტემბერი. ამ დღეებში ახალგაზრდობის კომინტერნის მიერ **ვუიოვიჩის** საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების შესახებ კომინტერნის სამდივნო იუწყება:

„საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის დამთავრების შემდეგ ვუიოვიჩი, რომელიც მიემხრო ყრილობის მიერ დაგმობილ ოპოზიციას, შეეცადა კომინტერნის მუშაკ **გურალსკისთან** ერთად ოპოზიციის სასარგებლოდ საერთაშორისო მასშტაბში ფრაქციულ მუშაობის წარმოებას. დასახელებულ ამხანაგების მთავარი განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი შეეცადონ გამოეყენებიათ თავიანთი მდგომარეობით კომინტერნში გაებათ ფრაქციული კავშირი კომინტერნის სექციებთან აღ დაეშვათ, ხელმძღვანელ ორგანოებს არ გამოეთქვათ აზრი მე-14 ყრილობის ხაზის სასარგებლოთ.

ამ მიზნით გურალსკი და ვუიოვიჩი შეეცადენ, უსათუოდ „ზევიდან“ მითითებით, დაეთანხმებიათ ერთი ამხანაგი საფრანგეთის კომპარტიის წევრი, რომ მას, როგორც ფრაქციონულ რწმუნებულს, შემოევლო დასავლეთ-ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა. შემუშავებული იყო მარშრუტი და დეპეშების პირობითი შიფრი. მაგრამ განზრახულმა „რწმუნებულმა“ უარყო ფრაქციონულ შეთქმულებაში მონაწილეობა და ყველაფერი აცნობა სათანდო პარტიულ ინსტანციას. მომხდარმა პარტიულმა გამოძიებამ ამ ამხანაგის მიერ აღნიშნული ყველა ფაქტები დაადასტურა. თვით გურალსკი და ვუიოვიჩი იძულებული გახდენ ეღიარებიათ ამ ჩვენებათა სისწორე.

უმაღლესმა პარტიულმა ინსტანციებმა ამ საქმის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გურალსკი განთავისუფლებულიყო კომინტერნში მუშაობისაგან, ხოლო ვუიოვიჩს გამოცხადებოდა მკაცრი გაკიცხვა. ვუიოვიჩის მიმართ ეს მეტად ზომიერი და რბილი დადგენილება, იმ ანგარიშით იყო მიღებული, რომ დასახელებული ამხანაგები ფრაქციულ მუშაობას კომინტერნში შესწყვეტენ და თავიანთ შეცდომას აღიარებდენ და გამოასწორებდენ. შემდეგმა ამბებმა არ გაამართლეს ასეთი მოლოდინი. ვუიოვიჩმა კვლავ სცადა ფრაქციული მუშაობა ახალგაზრდობის კომინტერნში, რის შესახებაც იგი თავის დროზე გააფრთხილა კომკავშირის დელეგაციამ, მაგრამ სამწუხაროდ უშედეგოდ.

თავისი ფრაქციულობა ვუიოვიჩმა ერთხელ კიდევ დაადასტურა იმით, რომ მან, საკავშირო კომპარტიის [illegible] და ახალგაზრდობის კომინტერნის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კომინტერნის აღმასკომში, მასლოვისა და რუტ ფიშერის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ კომინტერნის პრეზიდიუმის მიერ ერთხმად მიღებულ დადგენილების შემდეგ, თავი შეიკავა ახალგაზრდობის კომინტერნის პრეზიდიუმმა ამ საკითხის გარჩევის დროს. მხოლოდ ფრაქციული მოტივებით აიხსნება ვუიოვიჩის ეს დემონსტრაცია კომინტერნის წინააღმდეგ და მისი მხრით ასეთი რენეგატებისათვის მხარის დაჭერა, როგორც მასლოვი და რუტ ფიშერია.

ყველა ამ ფაქტების გამო და აგრეთვე იმის შემდეგ, საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმი იძულებული იყო თავის რეზოლიუციაში აღენიშნა ვუიოვიჩის ფრაქციონული მუშაობა, ახალგაზრდობის კომინტერნის აღმას. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო დაეყენებია ვუიოვიჩის წინაშე საკითხი მისი ოპოზიციის და ახალგაზრდობის კომინტერნში მისი შემდეგი მუშაობის შესაძლებლობის შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე ვუიოვიჩი სავსებით იცავდა თავის ფრაქციონულ თვალსაზრისს და მან განაცხადა, რომ მომავალშიაც ის ყოველთვის დაიცავს ამ თვალსაზრისს.

ახალგაზრდობის კომინტერნს არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ მის წევრებს ქონდეთ უმრავლესობის აზრისაგან განსხვავებული შეხედულებები, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ამხანაგებმა თავიანთი მდგომარეობა აღმასკომში გამოიყენონ კომინტერნის მთლიანობის დასარღვევად.

ვუიოვიჩმა კი კომინტერნის მდივნის საპასუხისმგებლო თანამდებობა გამოიყენა ფრაქციონული მიზნებისათვის და მით შეუძლებელი ხდება თავისი შემდეგი მუშაობა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომში.

ამიტომ ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი იძულებული იყო მიეღო გადაწყვეტილება ვუიოვიჩის ახალგაზრდობის კომინეტერნის აღმასკომის მდივნის მოვალეობიდან და მისი კომინტერნში მუშაობიდან განთავისუფლების შესახებ.

პარტმუშაობის შესახებ საკონცესიო და კერძო წარმოებებში

საქ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრალურ კომი ტეტის დადგენილება

მოისმინა რა მოხსენება საკონცესიო და კერძო წარმოებებში პარტმუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც უწინარეს ყოვლისა აღნიშნა ის განსაკუთრებული ამოცანები, რომელიც წამოჭრილია ამ წარმოებათა პარტორგანიზაციების წინაშე მუშების ეკონომიური ინტერესების დაცვისა და მათი კლასიური თვითშეგნების განვითარების საქმეში. საკონცესიო და კერძო წარმოებების პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიური ბრძოლა უნდა აწარმოონ მწარმოებლების წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან წარმოებებში პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადო მუშაობის წარმოებას, აქტიურ საზოგადო და სხ. მუშაკთა სხვადასხვა მიზეზებით დათხოვის სახით. კერძო წვრილ წარმოებებში, სადაც მუშაობას აბრკოლებს მათი ტერიტორიალურად გაფანტვა, პარტუჯრედების არ არსებობა და ამ წარმოებათა მუშების საზოგად. განვითარების დაბალი დონე, პარტორგანიზაციები უნდა ებრძოლონ მუშებზე მწარმოებელთა გავლენის გავრცელების ისეთ მოვლენას, როგორც, მაგალითად, პროფმოღვაწეთა მოსყიდვა, მწარმოებლისაგან ათასნაირი საჩუქრების მიღება და სხვა.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დრომდე პარტორგანიზაციები, რომელთა რაიონშიც შედიან კერძო ან საკონცესიო წარმოებები, ხაკმაო ყურადღებით არ ეკიდებოდენ ამ წარმოებებში პარტმუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა შემდეგში იხელმძღვანელონ შემდეგი მითითებებით.

პარტორგანიზაციების მნიშვნელოვან ამოცანას კერძო და საკონცესიო წარმოებებში უნდა წარმოადგენდეს მუშა და მუშა-ქალთა ეკონომიურ, კულტურულ და ყოფა-ცხოვრების ინტერესების დასაცავად წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელობა, რისთვისაც მუშების მატერიალურ და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად წარმოებულ ყოველდღიურ ბრძოლაში საჭიროა შრომის კანონების მტკიცედ გატარება. პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებებს უნდა მიმართონ კერძო და საკონცესიო წარმოებებში დაბალ პროფორგანიზაციების ავტორიტეტისა და გავლენის ასაწევად. ამის განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ ფაბქარხკომებისა მთლიანად, საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის მუშური ნაწილისა და შრომის დაცვის კომისიის მუშაობის სწორად დაყენებით და, აგრეთვე, მუშებისა და მუშა-ქალთა მთელი მასის ჩაბმით შრომის დაცვის საკითხების განხილვაში.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ა) საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის მუშურ ნაწილსა და შრომის დაცვის კომისიისათვის მუშაკთა შერჩევას; ბ) საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის მუშური ნაწილის სხდომებისათვის მომზადებას; გ) მუშებისათვის საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის მუშაობის ანგარიშის დროზე ჩაბარებას; დ) მთელი მუშათა მასის მიერ კოლექტიური ხელშეკრულების განხილვას მის დამტკიცებამდე და განმარტებას, დამტკიცების შემდეგ; ე) ჯგუფურ კომიტეტებში გაერთიანებულ კერძო წარმოებების მიმართ — მნიშვნელოვან კონფლიქტების გადაჭრას კონფლიქტით დაინტერესებულ მუშებისა და სათანადო წარმოებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

საკონცესიო და კერძო წარმოებებში პარტმუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა: ა) იმ ადგილებში, სადაც არის კონცესია ან და თავმოყრილია კერძო წარმოებები, პარტკომებთან შეიქმნას პარტმუშაობის მწარმოებელი კომისიები, მათში უჯრედის მუშაკთა ჩაბმით, და ამ კომისიებს დაევალოთ პარტმუშაობის საკითხების დამუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება; ბ) პარტკომის ერთ-ერთ ინსტრუქტორს დაევალოს წარმოებულ მუშაობაზე ყოველდღე თვალყურის დევნება და დაბალ პარტორგანიზაციებისათვის ინსტრუქციების მიცემა; გ) რეგულიარულად, თვეში არა ნაკლებ ორჯერ პარტკომებთან მოწვეულ იქნას დაბალ პარტორგანიზაციების პარტაქტივის თათბირები კერძო და საკონცესიო წარმოებებში მუშაობის დროს წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხების გადასაწყვეტად; დ) პერიოდულად კეთდებოდეს კერძო და საკონცესიო წარმოებების უჯრედთა მოხსენებები; ე) ფაბქარხკომებისა და უჯრედთა ბიუროების ხელახალი გადარჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიულ და კომკავშირის უჯრედების მომზადებულ მდივნებისა და ფაბკომების თავმჯდომარეთა დაწინაურებას.

ც. კომიტეტი პარტორგანიზაციების მორიგ ამოცანად სახავს უპარტიო აქტივის კადრის შექმნას, მის საშუალებით მუშებისა და მუშა-ქალთა მთელ მასაზე გავლენის განსამტკიცებლად. ამ მიზნისათვის მასიურ მუშაობის დაბალი ორგანიზატორების (პროფრწმუნებულები, [illegible] დელეგატები, დელეგატ-ქალები და სხ. არსებული კადრის გამოყენებით, უნდა ვეცადოთ, რომ უპარტიო აქტივის ეს კადრი გადავაქციოთ პარტიის თანაშემწედ მუშათა მასების წინაშე ჩვენი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკიდან კერძო და საკონცესიო წარმოებებში.

საკონცესიო და კერძო წარმოებათა მუშების თათბირების გამართვასთან ერთად, სახელმწიფო წარმოებების მუშებთან ერთად, ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო მარტო კერძო და საკონცესიო წარმოებათა მუშების გაერთიანებულ კონფერენციებისა და თათბირების მოწყობა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნულ წარმოებებს ეხებიან.

მასიურ მუშაობაზე პარტგავლენის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს უჯრედებს იხელმძღვანელონ შემდეგით: ა) უჯრედის კრებებზე, წრებსა და პოლიტგანათლების სახწავლებლებში კომუნისტებს აეხსნას პარტიის პოლიტიკა როგორც საკონცესიო, ისე კერძო კაპიტალის მიმართ; ბ) გაძლიერებულ იქნას ზომები საკონცესიო და კერძო წარმოებათა მუშების კლასიური სოლიდარობის განსამტკიცებლად და პოლიტიკური აღზრდის ასაწევად; გ) მიღებულ იქნას ზომები, რათა კომუნისტები უეჭველად ესწრებოდენ მუშების საერთო და სადელეგატო კრებებს და აგრეთვე ამ კრებებზე დასმულ საკითხების გადაჭრაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ; დ) სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს უჯრედის წევრების მიერ პარტიულ და პროფესიონალურ დისციპლინის დარღვევას და მათ კლასიურ მიჯობას მწარმოებლებთან ურთიერთ დამოკიდებულებაში. ცენტრ. კომიტეტი, აგრეთვე მიუთითებს უჯრედებს მათ მიერ დაბალ ტეხნიკურ პერსონალსა და მოსამსახურეებზე გავლენის გაძლიერების აუცილებლობაზე.

ითვალისწინებს რა იმას, რომ საკონცესიო და კერძო წარმოებათა მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს გლეხურ და ნახევრად გლეხურ ელემენტს, რომელსაც სოფელთან არ გაუწყვეტია კავშირი, ცენტრალ. კომიტეტმა აუცილებელ საჭიროებათ სცნო ამ წარმოებებში სისტემატიური მუშაობის წარმოება პარტიის საგლეხო პოლიტიკის ახსნა-განმარტებისათვის, ხოლო პროფორგანიზაციებს წინადადებას აძლევს გადუხრელად იხელმძღვანელონ საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქციებით, მწარმოებლებთან საქმიანი დამოკიდებულების დამყარების შესახებ, და არავითარ შემთხვევაში არ იკისრონ მწარმოებლის პასუხისმგებლობა ადმინისტრატიულ-საწარმოო საქმიანობაში. ამასთან ერთად ცენ. კომ. აღნიშნა, რომ დაბალმა პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა სათანადო აქტივობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სახელმწიფო-საკონტროლო ორგანოებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, უკანასკნელის მიერ კერძო და საკონცესიო წარმოებების კონტროლის დროს.

საკავშირო პროფსაბჭოს ფრაქციებს ცეკამ დაავალა: ა) დაბალ პროფორგანიზაციების მიერ მომრიგებელ ინსტანციებში საკონფლიქტო საკითხების გატარების შესახებ ცნობების მიწოდების გაუმჯობესება; ბ) მიიღონ ზომები კერძო და საკონცესიო წარმოებების მუშაკთა იურიდიული კონსულტაციის უზრუნველსაყოფად ყველგან, მწარმოებლებთან საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების დამოკიდებულების საკითხებში; გ) პროფკავშირის ხაზით განმარტებულ იქნას კერძო და საკონცესიო წარმოებათა მუშებს შორის კულტმუშაობის გაძლიერების აუცილებლობა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ფუფუნების წინააღმდეგ

კომფორტი, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ, როდესაც ის ეწყობა სახელმწიფოს ხარჯზე, აქ შეგვიძლია მოვაგონოთ თავიანთ თავის ერთგულ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს, რომ ფრთხილად იყვნენ. რა აუცილებლობითაა გამოწვეული, როცა უბრალო სელის სკამების ნაცვლად დაწესებულება სავარძლებსა და რბილ ტახტებს ყიდულობს? რამდენად აჩქარებს წერის პროცესს ბრინჯაოს ფიგურებით გაწყობილ მარმარილოს ფირფიტაზე გამართული სამელნე? ნუ თუ დაწესებულებაში ფეხს ვერ შესდგამს საქმეზე მოსული მოქალაქე, თუ ამ დაწესებულების პასუხისმგებელ მუშაკთა კაბინეტები თვალწარმტაც სურათით და სპარსულ ხალიჩებით არ იქნება მორთული?

რა საჭიროა ყოველივე ეს? რათ უნდა იხარჯებოდეს ფული ამნაირ ფუფუნების საგნებზე? შეიძლება ვინმე, რომ თავის შეუფერებელ საქციელს ხელი დააფაროს, ამგვარ ფუფუნებას კულტუროსნობათ ნათლავს. არაფერი ამის მზგავსი.

იქ, სადაც ფუფუნებაა, ზედმეტია საქმიან მუშაობაზე ლაპარაკი. ფუფუნება ყოველთვის ჰქმნის ფუქსავატობას, ბიუროკრატიზმის განწყობილებას. საჭიროა დაწესებულება-წარმოებებს ჰქონდეთ მუშაობისათვის სალი ჰიგიენური პირობები, საჭიროა შრომის იარაღები და სხვა ინვენტარი ხელს უწყობდეს საქმის უმტკივნეულოდ წარმოებას. ეს იქნება მუშაობისათვის კულტურული პირობების შექმნა, ეს იქნებოდა საბჭოთა დაწესებულების ნორმალური მოწყობილობა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ერთი გარემოება. გაფერადებულ და გაჩირაღდნებულ დაწესებულებაში შესვლა ხშირად ერიდება მოქალაქეებს. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს გლეხებზე და ზოგჯერ მუშებზედაც კი. მშრომელთათვის უჩვეულოა ამგვარი კომფორტაბელური კაბინეტები. ჩვენ სიღარიბეში და სიბნელეში ვიზრდებოდით. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევამდე ჯერ კიდევ ბევრი ვვიკლია.

ამიტომ საჭიროა ერთგვარი ზომა ვიცოდეთ. საჭიროა ერთგვარი მტკიცე თადარიგი ვიქონიოთ დაწესებულებათა კეთილმოწყობაშიაც. ეხლა ფუფუნების დრო არა გვაქვს. ჩვენი მიზანია მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის განვითარება. ვისწავლოთ ზომიერი, კულტურული ცხოვრება, როგორც სახლში, ისე დაწესებულებებში და აქედან გადარჩენილი თვითეული კაპეიკი სახალხო მეურნეობის წინმსვლელობას მოვახმაროთ.

ა. ქედისძირელი.

დიდი თუ პატარა ავტომობილები

ამას წინად პრესაში გამოქვეყნებული იყო განკარგულებები დაწესებულებათა ავტომობილების რიცხვთა შემცირების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ რიცხვობრივი შემცირება ავტომობილებისა არ ნიშნავს უნაყოფო ხარჯების შემცირებას (ეს უკანასკნელი შეიძლება კიდევაც გაიზარდოს).

რამდენად დიდია ავტომობილი, იმდენად მეტ მუშაობას უნდა ასრულებდეს, რათა მისი ექსპლოატაცია ხელსაყრელი იყოს და უმართებულო ხარჯებს ადგილი არ ჰქონდეს. ჩვენი დაწესებულებების სამგზავრო ავტომობილებს კი დიდსა და პატარას თითქმის თანაბარი მუშაობა აქვთ, ამასთან ერთად ეს მუშაობა ეგრედ წოდებულ „ბებეშკა“ ავტომობილების სამუშაო ძალოვნების 50 პროც. თუ აღწევს და არა მეტს.

მაგალითისათვის მოვიყვანთ აქ რკ. გზების ორ ახალ ავტომობილების მუშაობის შედარებას. რომელთაგან ერთი არის ვეებერთელა ექვს ადგილიანი — „პრაგა“, მეორე კი პატარა 4 ადგილიანი — „ფიატ ბ. ბ.“.

რკ. გზ. წარსულ მარტის თვის განმავლობაში ისარგებლა ვეებერთელა ავტომობილის „პრაგის“ მუშაობითი ძალოვნების მხოლოდ 21 პროცენტით და „ფიატ ბ. ბ“-ის კი 40 პროც.

ამასთან ერთად საშუალოდ ერთიც და მეორეც ამ თვის განმავლობაში თვითეულ გზობაზედ ატარებდა მხოლოდ 1—2 მგზავრს „პრაგას“ — 1,7 მგზავრს. „ფიატა ბ. ბ“-ეს 1,5 მგზავრს.

ასეთივე მდგომარეობაა რკ. გზის გარაჟის სამგზავრო ავტომობილების პარკში. აღმოჩნდა, რომ აქ საშუალო თითო ტვირთიან გზობაზედ სამგზავრო ავტომობილებს დაჰყავთ მხოლოდ 1,8 მგზავრი: ამ ათი თვის განმავლობაში (I/X-დან 1924 წ. I/VIII-მდე 1925 წ.) არ ყოფილა ისეთი თვე. რომელშიაც საშუალოდ ავტომობილს თვითეულ ტვირთიან გზობაზედ ორი მგზავრი ეტარებინოს.

ამგვარად იქვს გარეშეა, რომ დაწესებულებათა სამგზავრო ავტომობილებს, დიდია ის თუ პატარა, მიმოჰყავთ სამსახურის გამო მხოლოდ ერთი ორი მგზავრი, ე. ი. თანაბრად მუშაობას ასრულებენ განურჩევლად ავტომობილის საშუალო ძალოვნებისა — ანუ სიდიდისა.

ამავე დროს თვიური საექსპლოატაციო ხარჯები დიდი ავტომობილისა 1½-ჯერ მეტია ვიდრე პატარასი. ის მუშაობა, რაც შესრულა მარტის თვეში ავტომობილმა „პრაგა“-მ, რომ რკ. გზ. გარაჟს შესრულებია პატარა ავტომობილით, ეგრედ წოდებულ „ბებეშკა“-თი, **1.060 მან.** მაგიერ დაიხარჯებოდა დაახლოებით **500—600 მანეთი.**

ზემოდ ნაჩვენებს ადგილი არ ექნებოდა, რომ დიდ ავტომობილს შესაფერისი მუშაობა შეესრულებია, რადგან. ცხადია, რამდენად მცირე პროცენტით ვიყენებთ მეურნეობის შეძლებას, მით მეტათ ძვირია ამ მეურნეობის ნაყოფის ერთეულებს ღირებულება ჩვენ დაწესებულებებს კი არამც თუ ვეებერთელა სამგზავრო ავტომობილების, არამედ „ბებეშკების“ სამუშაო ძალოვნების სრული გამოყენება არ შეუძლიათ, რადგან სამსახურის გამო ავტომობილით მგზავრობს ხოლმე 1—2 პასუხისმგებელი თანამშრომელი. ამიტომ 1—2 მგზავრის მიმოყვანა ვეებერთელა 6 ადგილიანი ავტომობილით საბჭოთა დაწესებულებებს ორმაგი ფასი უჯდებათ. აი ის ზედმეტი ხარჯები ჩვენ. მიგვაჩნია უმართებულოდ და წყალში გადაყრილ ქონებად.

ნუ თუ დასაშვებია, რომ რკ. გზებმა თითო ორთქლმავალით ატაროს, როდისაც ამ ორთქლმავალს 10—15 რონოდის ტარება შეუძლია?!

ამას დაწესებულებებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვეებერთელა 6 ადგილიანი ავტომობილით სამსახურის გამო მიმოსვლისათვის სარგებლობაზედ ხელი აიღონ და იყოლიონ მხოლოდ ავტომობილები „ბებეშკები“ და მოტოციკლეტები და ისიც აუცილებელ მოთხოვნილების დროს, ე. ი. როდესაც დაწესებულების ინეტერესები მოითხოვენ სამსახურის გამო პასუხისმგებელ თანამშრომელთა იმოდენ მიმოსვლას, რომ 50 პროც. ავტომობილის სამუშაო ძალოვნებისა მაინც იქნება გამოყენებული.

პალცინი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ერთი „წვრილმანის“ შესახებ

ჩვენ მტერი ვართ ბიუროკრატიზმის, რა სახის და ფორმისაც არ უნდა იყვეს ის. განსაკუთრებით დაუშვებელია ბიუროკრატიზმი სავაჭრო აპარატში; ვაჭრობის ფრონტზე ჩვენ ბევრი მოქიშპე გვყავს. დაწესებულებაში შეგვიძლია საქმეს ერთჯერ ხელი შეაცილო და მეორეთ გამოასწორო დაშვებული შეცდომა. სულ ერთია; საქმე მაინც არსად გარბის. წახდება თუ არ წახდება, შენ გაკეთებას ელის.

სულ სხვაა ვაჭრობაში. აქ საკმარისია ერთი უმნიშვნელო მარცხი, რომ ეს მარცხი კერძო ვაჭარმა გამოიყენოს და ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას საგრძნობი ზიანი მიაყენოს. ვაჭრობაში ჩვენ განსაკუთრებული სიფხიზლე და მოქნილობა გვმართებს. აქედან უნდა განიდევნოს ყველა უმნიშვნელო ნაკლულოვანებანიც კი.

ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ გაზ. „პრავდა“ ჩერდება ერთი შეხედვით ისეთ „წვრილმან“ საკითხებზე, როგორიცაა ქვითარის გამოწერის წესი:

„შედით მოსკოვის უნივერსალურ მაღაზიაში და იყიდეთ თეფში 33 კაპ., სწერს გაზეთი, თქვენ გამოგიწერენ 3 ქვითარს: ერთი რჩება გამყიდველთან, მეორე — სალაროში, მესამეს გიხვევენ თქვენ „სამახსოვროდ“ ნაყიდ ნივთთან ერთად. ვის ესაჭიროება ეს ქვითარი? გასამართლებელ საბუთად ის არ გამოდგება. თუ თქვენ ასეთი საბუთი დაგჭირდათ, უნდა შეადგინოთ ქვითარის გარეშე ცალკე ანგარიში.

შალეულობის გამსაღებელ სააქციო საზოგადოების მაღაზიებში 3 ქვითარით არ კმაყოფილდებიან. იქ სწერენ 4 ქვითარს. მეოთხე ქვითარი ინახება „კანტროლში“. რამდენიმე დღის წინათ ამ მაღაზიებში შეიკრიბა მომჭირნეობის კომისია, რომელმაც დაადგინა მოეხდინა პატარა რეფორმა: 4 დიდი ქვითარის ნაცვლად კომისიამ გადასწყვიტა 2 პატარა ქვითარის შემოღება. ამ მცირე რეფორმამ მნიშვნელოვანი სარგებლობა მოიტანა“.

აშკარაა, ამ საკითხის მოწესრიგება დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს კოოპერატივებსაც. ქვითარების გამოწერის პროცედურაში იკარგება არა მარტო ქაღალდი, არამედ დრო, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მყიდველი კოოპერატივებში რამდენიმეჯერ უნდა წავიდწამოვიდეს (ჯერ დახლთან, დახლიდან სალაროსთან, სალაროდან ისევ დახლთან და შემდეგ ზოგჯერ, კანტროლთან და სხ.).

ცხადია, ის ართულებს კოოპერატივის მუშაობას და აფრთხობს მყიდველებსაც. ამ გარემოებას უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

პატარა ფელეტონი

აჯანყებული მერები...

„პუანკარეს განზრახული აქვს 116 მერის (ქალაქის თავის) თანამდებობის გაუქმება. მერებმა პროტესტი განაცხადეს, და მათი ოლქებიდან არჩეულ დეპუტატებს, თუ ისინი არ დაეხმარებიან, საარჩევნო ბოიკოტით ემუქრებიან“.

(დეპეშებიდან).

თქვენ გსმენიათ, ალბად: მერი,
ის კი არა, ქალი ტურფა,
ლამაზი და მშვენიერი.

არა... სხვაა, სულ სხვა მერი
იმ მერებით საფრანგეთი
ქვეყანაა ბედნიერი.

იქ ქალაქის თავებს: ჟანებს,
ანრებს, შარლებს, თან რენეებს,
და სხვებს კიდევ იმათგანებს

ჰქვიათ ასე: მერი... მერი.
ტურფა მერიც მათ ხელშია
და სხვაც... თითქმის ყველაფერი...

თქვენ ყოფილხართ სადმე მერად?
არა?.. ჰო, ეგ სულ სხვა არის.
თავს მიტომ გრძნობთ მშვენიერად!

ჰო, და, თურმე პუანკარე
(თუ გსურს ძუ მგელს, კბილებ დამძვრალს,
ბილე და შეადარე)

მტრად გაუხდა თავის მერებს...
რა გგონიათ?,—შტატს ამოკლებს
და... მერებზე გულს იჯერებს.

ფრანკი კვლავაც ავად არის...
პუანკარეს სურს, სურს გულით
გაცოცხლება თითქმის მკვდარის.

მაგრამ მერებს, პირშავ მერებს
ფრანკი ფეხზეც არ ჰკიდიათ,
(მერი ვინმეს დაუჯერებს?)

და გასინჯეთ თურმე მერებს,
ჟანებს, ანრებს, ფრანსებს, შარლებს,
და სხვებს, კიდევ, მათებრ შტერებს.

ასე უთქვამთ: პუანკარე,
ფრთხილად ცოტა, ეგ გეგმები
ნაგვის ყუთში გადაყარე.

თორემ ყველა დეპუტატებს
(სენატიდანც ზოგი წევრი
იქ თავის ხმას მიუმატებს)

შემოგისევთ პუანკარე...
და შენ თვითონ შეგამოკლებთ...
მიადექ და ცრემლი ღვარე

პუანკარე ებრძვის მერებს...
მას მერები... ორთავეს კი
მხოლოდ მუშა მოიგერებს.

თქვენ გსმენიათ, ალბად. მერი.
ის კი არა... ქალი ტურფა
ლამაზი და მშვენიერი.

არა, სხვაა, სულ სხვა მერი...
თუმცა ერთ დროს საფრანგეთში
შეიცვლება ყველაფერი...

იქ შტატების გატარდება
უფრო ფართედ შემოკლება
და სხვა წესი დამყარდება.

ხოზიკა.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგში დასმული იყო სამი საკითხი: 1) საადგილ-მამულო განყოფილების მუშაობის შესახებ, 2) საორგანიზაციო განყოფილების ორგანიზაციის შესახებ და 3) მიმდინარე საქმეები.

საადგილ - მამულო განყოფილების მუშაობა

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ადიკაშვილი.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასაბჭოების პირველ წლებში განყოფილებას უხდებოდა სააგიტაციო მუშაობის წარმოება პრაქტიკული ღონისძიებების გატარების მოსამზადებლად.

1921 წლიდან განყოფილება დაკვრითი წესით უძღვება მიწის რეფორმის გატარებას თბილისის მაზრაში. 1921-25 წლამდე ჩამორთმეული იქნა 11.007 დესეტინა მიწა 1926 წელში კი—16 დეს.

1925 წლამდე სწარმოებდა მხოლოდ მიწების ჩამორთმევა და მათი დროებით სარგებლობაში გადაცემა გლეხობისათვის; 1925 წლიდან კი დაიწყო ინსტრუმენტალური მუშაობა (მიწების აგეგმვა, დაკორდვნა და სხვა).

1925 წლის განმავლობაში თბილისის მაზრაში მოწყობილი იქნა 34 სოფელი ანუ 2581 კომლი; მოწყობილი მიწების სივრცე უდრის 21.144 დესეტინას. მიწების მოწყობაზე ამჟამად მუშაობს 14 მიწის მზომელი.

თბილისის მაზრაში წინეთ არ არსებობდა აგრონომიული პუნქტები, არ იყო არც აგრონომები, ეხლა კი მაზრაში გახსნილია 8 პუნქტი, სადაც მოწყობილია საცდელ-საჩვენებელი მინდვრები; თვითეული მინდორის სივრცე უდრის 3 დესეტინას. ამ მიწებზე სწარმოებს სხვადასხვა ჯიშის თესლეულობის გამოცდა და თესვა-მოყვანა.

ამას გარდა მაზრის 3 რაიონში მოწყობილია გასაქირავებელი პუნქტები გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღ - მანქანებით. ამ პუნქტებში განყოფილებას აქვს 548 გუთანი და 4 ტრაქტორი; ამ გუთნებით წარსული წლის განმავლობაში მოხნულ იქნა 548 დესეტინა მიწა.

გლეხებში აგრონომიული ცოდნის გავრცელების მიზნით, განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხებთან საუბრების გამართავს აგრონომების მიერ. 1925-26 წლის განმავლობაში სულ გამართული იქნა 190 საუბარი, რომლებსაც დაესწრო 8954 გლეხი.

განყოფილება აგრეთვე იღებდა მთელ რიგ ზომებს მაზრაში მეფუტკრეობის, მესაქონლეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების აღსადგენად და განსავითარებლად. ამ მიზნით სხვადასხვა ადგილებში გახსნილ იქნა მეფუტკრეობის და ვაზის მყნობის კურსები, მოწყობილი იქნა საფუტკრე სახელოსნო და სხვა.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებების გატარებას მომავალ საბიუჯეტო წელში.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადება თბილისის აღმასკომთან საორგანიზაციო განყოფილების მოწყობის შესახებ.

წინადადება მიღებული იქნა პლენუმის მიერ. საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ დამტკიცებული იქნა აღმასკომის წევრი ამხ. **ვართაპეტოვი;** ამავე დროს ის არჩეული იქნა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრათ.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

(საუბარი საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულთან რეშტში — ამხ. ლევიცკისთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული რეშტში—ამხ. **ლევიცკი.**

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ლევიცკიმ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენი მეურნეობის განმტკიცებამ გამოიწვია ის, რომ გილიანდის (ჩრდილოეთ სპარსეთი) ვაჭრები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებაში, თანდათან აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში, კერძოთ ბაქოს და ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტიმულია ის, რომ ჩვენი საქონელი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი (მაგალითად, ჩითი) სჯობნის კიდეც ინგლისურ საქონელს.

საბჭოთა კავშირიდან სპარსეთში იგზავნება, უმთავრესად, შაქარი, ნავთი, შუშეულობა, რკინეულობა, ასანთი, საფეიქრო საქონელი, უკანასკნელ ხანებში კი სპარსეთში დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი რეზინის ნაწარმოებზე, განსაკუთრებით კალოშებზე.

უკანასკნელი დროის განმავლობაში გილიანდის ვაჭრები მეტად დაინტერესდენ ჩვენი რეზინის შინებით. სპარსეთში ავტო-ტრანსპორტის ძლიერი განვითარების გამო უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა შინები გაუძლებენ უცხო შინების კონკურენციას.

სპარსეთიდან საბჭოთა კავშირში შემოდის ბამბა, მატყლი, კანაფი, ნედლი ტყავეულობა, ბრინჯი, ხმელი ხილი და სხვა.

გილიანდის მოსახლეობა მეტად კმაყოფილია იმით, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის თანდათან მტკიცდება.

რეშტში არსებულ საბჭოთა საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან აღსანიშნავია საავადმყოფო და საბჭოთა-სპარსული სკოლა. საბჭოთა საავადმყოფო დიდი პოპულიარობით სარგებლობს სპარსეთის ღარიბ მოსახლეობის შორის რომელსაც იგი უფასო საექიმო დახმარებას უწევს. საავადმყოფოში ყოველდღე საექიმოდ დადის 50-დის სპარსელი.

„დეიტჩე-ვერკე“

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანიის გაერთიანებულ სახელმწიფო ქარხნების „დეიტჩე-ვერკე“-ს ინჟინერი **გარრი ნაგელ,** რომელმაც თან ჩამოიტანა აღნიშნული ფირმის მოტოციკლები. ერთი ასეთი მოტოციკლი, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს მოტოციკლების გადარბენაში თბილისი-კავკავი - გროზნო - როსტოვი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში **ნაგელმა** განაცხადა, რომ „დეიტჩე-ვერკე“ აერთიანებს გერმანიის 14 სახელმწიფო ქარხანას. წინეთ ეს ქარხნები ამზადებდენ სამხედრო იარაღებს, მაგრამ ვერსალის ზავის თანახმად ისინი გადაკეთდენ სხვადასხვა საწარმოო იარაღების ქარხნებად.

ამჟამად ქარხნები ამზადებენ მოტოციკლებს, ელექტრო-დიზელებს (სხვათა შორის ეს დიზელები საყურადღებოა იმით, რომ მათში გამოყენებულია მთელი ენერგია), სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საფეიქრო მანქანებს და ავტომობილებს. სრული დატვირთვის დროს ქარხანა დღეში ამზადებს 114 მოტოციკლს.

ჩვენი ქარხნების ნაწარმოებს საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ იცნობენ სათანადოთ. ჩვენი ქარხნების პროდუქციის გასაცნობად მოსკოვსა, ხარკოვსა და თბილისში გამოგზავნილია რამოდენიმე მანქანა, რომელთა გამოცდა ახლო ხანში მოხდება.

თუ გამოცდამ დადებითი ნაყოფი გამოიღო, ჩვენს ფირმას განზრახული აქვს ფართოდ დააყენოს საბჭოთა კავშირში ჩვენი პროდუქციის გასაღების საქმე. ამ მიზნით ჩვენ მზათ ვართ გრძელვადიანი კრედიტი გაუხსნათ საბჭოთა ორგანიზაციებს.

გარდა ზემოაღნიშნული მანქანებისა ჩვენი ქარხნები ამზადებენ აგრეთვე სარწყავ და ხელოვნური აბრეშუმის დამამზადებელ საქაჩავებს. სათანადო გამოცდის შემდეგ მათი გამოყენებაც ფართოდ შეიძლება საბჭოთა კავშირში.

დასასვენებელი სახლების მუშაობა

დასასვენებელ სახლთა სამმართველოს ცნობით, 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 6.000 მუშა - მოსამსახურე. აღნიშნულ დროის განმავლობაში დასასვენებელი სახლები მოწყობილი იყო ბორჯომის, წაღვერის, მცხეთის, ბოდბის, შუამთის, სურამის, გაგრისა და წებელდის რაიონებში.

ამ რაიონებში სამმართველოს ექირა მუშა - მოსამსახურეთა დასასვენებლად რამოდენიმე შენობები. მათ შორის წაღვერის რაიონში დაჭერილი იყო 30 სახლი, ხოლო მცხეთის რაიონში 17 სახლი.

გასულ ზაფხულის განმავლობაში დასასვენებელ სახლების შენახვა დაჯდა 250.000 მანეთი. თვითეულ დამსვენებელ მუშა - მოსამსახურის შენახვა თვიურად 80 მანეთი ჯდებოდა.

დასასვენებელ სახლებში 2.000 ადგილის შენახვა იჯარით ჰქონდა აღებული სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, ხოლო 4.000 ადგილს კი თანაბრად ინახავდენ ამიერ-კავკასიის და საქ. სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოები.

გასული ზაფხულის სეზონის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია დამსვენებელთა მხრივ რაიმე საყვედურს ან უკმაყოფილებას.

სეზონის გათავების შემდეგ დასასვენებელ სახლთა სამმართველო შეუდგება ახალ დასასვენებელ სახლების აგებას და წყალსადენის მოწყობას იმ დასასვენებელ სახლებში, სადაც ასეთები არ არის გაყვანილი.

1-ლ ოქტომბრიდან დაიხურება ყველა დასასვენებელი სახლი, რის შემდეგ იწარმოებს მათი შეკეთება.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აგურის ქარხანა

ქუთაისი, 27 სექტემბერი. ქუთაისის აღმასკომმა 54.000 მან. გადასდო, ქ. ქუთაისში აგურის ქარხნის ასაშენებლად. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. ქარხანაში იქნება 16 ჰოფმანის ღუმელი და მისი პროდუქტიობა წინასწარი ანგარიშით წლიურათ 2 ნახ.-დან 3 მილიონ ცალ აგურს უნდა უდრიდეს.

აგრონომიული სექცია

ქუთაისი, 27 სექტემბერი. ქუთაისის აღმასკომის აგრონომიულ სექციის თანამშრომლებმა მოიარეს მთელი მაზრა და ადგილებზე აძლევდენ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს ყურძნის, ბამბის, სიმინდის და სხვა ნათესების მოსაწევათ.

ახალი ფაბრიკა

ქუთაისი, 27 სექტემბერი. ქუთაისის მაზრის ორპირის თემში დაარსდა მეხილეთა ახალი საზოგადოება სახელწოდებით „ვაშლი“. ამ ახალ ამხანაგობამ ცეკავშირის საზოგადოებიდან ათას მანეთად შეიძინა ძველი სახმობი ფაბრიკა, რომელიც შეაკეთა და ამ დღეებში აამუშავებს.

სატრაქტორო კურსები

ლიუქსემბურგი, 27 სექტემბერი. ბორჩალოს მაზრიდან თბილისში სატრაქტორო კურსებზე 6 მსმენელი გამოგზავნეს; მათგან 2 სოფლის ხარჯზეა, 2 ბორჩალოს აღმასკომის სტიპენდიანტია და ორიც თავისი ხარჯით მიდის.

საკრედიტო ამხანაგობების გახსნას თხოულობენ

(ხონის მაზრა)

თუ სოფლად არსებობენ საკრედიტო ამხანაგობები—ესენი უმთავრესად რაიონებში არიან მოკალათებულნი. ამიტომ ბევრი მათგანი დაშორებულია სოფლებს.

მაგალითად, აბაშის საკრედიტო ამხანაგობა ვერ სწვდება ონტოფოს, სამიქაოს და სუჯუნას.

ამიტომ არის, რომ ონტოფოს თემი, სადაც 800 კომლზე მეტია, სამიქაოს თემი, სადაც 700 კომლზე მეტია, სუჯუნის თემი, სადაც 1.500 კომლამდეა—დაბეჯითებით ითხოვენ საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებას.

გლეხები გვპირდებიან დიდი უმრავლესობით ჩაწერას წევრად და საპაიო თანხის შეტანას.

საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და უნდა დაგვეხმაროს, და გლეხების მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

ბ. უჩანეიშვილი.

ლიკანის ბაღი

(ბორჯომის ხეობა)

ქ. ბორჯომიდან 2 ვერსის მანძილზე დასავლეთით მდებარეობს ლიკანის ბაღი. ნათქვამია: „ვისაც ლიკანი არ უნახავს, მას ბორჯომიც არ უნახავსო“. და მართლაც, საქართველოს ერთ-ერთი ბუნებრივი სილამაზეთაგანი ეს ლიკანის ბაღია, რომელიც გადაჭიმულია 43 დესეტინის სივრცეზე ქ. ბორჯომიდან ჩრდ.-დასავლეთის მხრივ. გარემო ბაღი შემოსალტულია ფიჭვ-ნაძვნარიანი ქედებით, ზედ ბაღზე მოდუღუნე მტკვარი მოჩქეფს, შიგ ბაღში სასახლე ყოფ. „დიდი მთავრის ნიკოლოზისა“, დღეს-კი დასასვენებელი სახლი მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბელადების, აქა-იქ ორ სართულიანი შენობანი თავშესაფარი, დიდი მთავრის მეჯინიბეთა, დღეს კი მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები. სასახლის გარემო ხელოვნურად მოწყობილია თვალწარმტაცი ყვავილნარები, ფეხის გადადგმაზე მშვენივრად მოწყობილი შადრევნები და სხვა მრავალი სილამაზენი შემამკობელი ლიკანის ბაღისა.

მთელი ბაღი განიყოფება სამ ნაწილად: ათ დესეტინაზე გაშენებულია ხეხილი, ათი დაფარულია ფიჭვნარითა და სხ. მცენარეებით და დანარჩენზე მოწყობილია ყვავილნარები სხვადასხვა ჯიშის ყვავილებით გაშენებული. ეს ყოველივე მზადდება ყვავილების სათბურში (ორანჟერიაში), რომელიც მოწყობილია მეურნეობის უკანასკნელის მეთოდის მიხედვით. ბაღში მოიპოვება ბევრნაირი ყვავილები. აქ არის ისტორიული მცენარე-ყვავილი „არხიდეა“, რომლის სამშობლოც როგორც გადმოგვცემენ ყოფილა ძველი საბერძნეთი. ბაღში დაცულია სისუფთავე და ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით ყვავილნარებს.

რაც შეეხება ხეხილის ბაღს, უნდა ითქვას რომ ხეხილი მიუხედავათ რიგიანი მოვლა-პატრონობისა, სიბერის გამო საკმაოდ დაზიანებულია, რის გამოც ნაყოფს შესაფერისად ვეღარ იძლევა. სიბერის თავის დაღი დაუმჩნევია ხეხილისათვის. ამ მხრივ მთავარ მებაღეს უკვე მიუღია ზომები. საგანგებოდ მოწყობილია ხეხილის სანერგე, სადაც დაუმყნია და უკვე გაუმზადებია 2.700 ძირი ნამყენი ახალი ბაღის გასაშენებლად. ამჟამად ბაღი გაკეთებულია და აღდგენილი ომის წინა დროსთან შედარებით 76 პროცენტით—მთავარ მებაღე ვასო ციმაკურიძის მუყაითი შრომით და გარჯილობით.

ასე არ იყო ამ ორიოდე წლის წინეთ. სამოქალაქო ომს თავისი კვალი დაესვა ბაღისათვის. ბაღს—ბაღის ელფერი არ ჰქონდა. იგი გადაქცეული იყო საქონლის უბრალო საძოვრად. ყოველივე ამის გამშვენიერება და თავის კალაპოტში ჩაყენება დაიწყო 22—23 წლიდან მთავარ მებაღე ვ. ციმაკურიძის ხელმძღვანელობით. უსურვებთ მთავარ მებაღის მომავალში უფრო ნაყოფიერ და ბარაქიან საქმიანობას, რათა ბაღი აღდგენილ იქნას და ჩაყენებული თავის კალაპოტში.

ალ. ბედიაშვილი.

წერილები

ერთი უყურადღებობის წინააღმდეგ

ერთი სახის ბრძოლას მუშა და გლეხ კორესპონდენტების წინააღმდეგ ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ. ესაა მშრომელ კორესპონდენტის ყოველგვარი დევნა: მკვლელობა, ფიზიკური შეურაცყოფა, მუქარა, სამსახურიდან დათხოვნა, (თუ კორესპონდენტი სადმე მსახურობს) გადაყენება, ჯამაგირის შემცირება და ვინ იცის კიდევ რა.

მაგრამ არის სხვა სახის ბრძოლა მუშა და გლეხ კორესპონდენტების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, რომ ამ ბრძოლას დღემდი ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ჩვენ ვლაპარაკობთ მშრომელთა წერილების უყურადღებოთ დატოვების შესახებ.

ჩვენმა ხელისუფლების ორგანოებმა, ასე ესთქვათ, „ყური შეაჩვიეს“ მუშა და გლეხ კორესპონდენტების ხმას. მათ უკვე ისე აღარ ეხამუშებათ კორესპონდენტის შენიშვნები, როგორც ეს პირველ ხანებში ხდებოდა. ამიტომ ხშირად მუშა და გლეხი კორესპონდენტის ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი ზედმეტად სთვლის კორესპონდენციაში აღნიშნულ ფაქტების გამოკვლევა-შემოწმებას. ამაში ერთგვარი დანაშაული თვით კორესპონდენტებსაც მიუძღვით. რადგან ადგილი აქვს ცრუკორესპონდენტობას, რასაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველიც და ხელისუფლების ორგანოებიც.

მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ ასეთ კორესპონდენტების რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა. ასე რომ, ამის მომიზეზება მუშა და გლეხ კორესპონდენტთა წერილებისადმი უყურადღებობის გასამართლებლად ყოვლად შეუძლებელია.

წერილების უყურადღებობა, დატოვება, კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლის გამოუსწორებლობა ადუნებს გლეხკორის თუ მუშკორის სიფხიზლეს, უკარგავს მას ყოველგვარ ხალისს კორესპონდენციების წერისას და ამრიგად აფერხებს იმ დიდი მნიშვნელობის საქმის განვითარებას, რომელსაც ჰქვია მუშა-და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა.

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი პრესა საბჭოთა აღმშენებლობის ერთი ძლიერი იარაღთაგანია. ეს იარაღი დაჰკარგავს თავის სიბასრეს, თუ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა წერილებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ექნა ადგილი სათანადო ორგანოების მხრივ.

მეტი ყურადღება მშრომელ კორესპონდენტების ხმას.

წითელი კალამი.



ამიერ. საქ. საოლქო სასამ. დუშეთის სესია ს. მლეთში

კაცის მკვლელი ალ. ბურღულის გაამართლება

რა გვაწუხებს

(ს. ურაველი, ახალც. მ.)

ეს სოფელი ერთი საუკეთესო სოფელთაგანია მაზრაში.

შესანიშნავია თავისი მდებარეობით წიწვნარ ტყეში და უხვი მოსავლით (პური, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო და სხვ...) აქვე 2—3 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ცნობილი მიწის წიაღიდან მოჩუხჩუხე მჟავე რკინის წყლების აბანო, რომლისათვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ადგილობრივ გლეხკომს და ბინების აშენებას შესდგომია.

ეს სოფელი შეადგენს თემაღმასკომის ცენტრს. ურაველის სათემოზე მიწერილია 15—16 სოფელი, რომლებიც დასახლებულია ქართველ მუსულმანებით, თუმცა შიგა და შიგ არიან არამუსულმანი ქართველებით დასახლებული სოფლებიც (ანდრია წმინდა, ღრელი, გიორგი წმინდა და ხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენგან გაუგებარი მიზეზის გამო არა სახელმწიფო ენაზე, არამედ თურქულად სწარმოებს აქ ყოველგვარი მიმოწერა. მცხოვრებლებმა არც კი იციან თურქული წერა-კითხვა. მიმოწერას მათ ისევ ქართულად უთარგმნიან.

ამ თემიდან და სხვა კიდევ ხუთი თემის ახალციხისკენ მიმავალი გზა არის სატალოზედ. ეს გზა მეტად გაფუჭებულია—სახიფათო და ძნელი სავალია. ის დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს. გარდა იმისა, რომ ამ გზით სარგებლობს ხუთი თემი, ე. ი. ასზედ მეტი სოფელი, ამავე გზას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც.

ურაველზედ ახლო მდებარე სოფ. კისათიბში არის თეთრი მიწა, რომელიც იხმარება სითბოს ამცილებელი მილებისათვის და დიდი გასავალი აქვს ბაქოში და სხვაგან. აი ეს მიწა უგზოობის გამო გადის აქედან შორეული გზით, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა სულ უმოკლესი (9—10 ვერსი) გზით გადაზიდვა ამ საექსპორტო საქონლისა.

ყველა დასახელებული სოფლების მცხოვრებნი მზათ არიან თავისი შრომით დაეხმარონ ხელისუფლებას ამ გზის გაკეთებაში, ოღონდ იყვეს ვინმე სახელმწიფო ინიციატივით აღჭურვილი. გზის გაკეთება აგრეთვე დიდ სარგებლობას მოუტანს სამკურნალო წყლებზე მომსვლელთ. გავლილ გაზაფხულზედ აქ იყო ფ. მახარაძე ნახა ყოველივე სიძნელე ამ გზისა და დაჰპირდა მცხოვრებლებს დახმარებას. გლეხები მოუთმენლად ელიან ამ გზის გაკეთებას.

ერ. მესხელი.

სოფლის ქრონიკა

— **სასამართლო.** შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს მაზრაში სასამართლოების რიცხვი.

— **სარენტო გადასახადების გასაწერი** მუშაობა უკვე დაიწყო ზესტაფონში.

— **საავადმყოფო.** შორაპნის აღმასკომი შეუდგა ზესტაფონის საავადმყოფოს გაფართოება-შეკეთებას.

— **ამერიკული ვაზი.** შორაპნის აღმასკომი იძენს 140 ათას მეტრ ამერიკულ ვაზის ლერწს.

— **გადასახლება.** შორაპნის აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცაკის წინაშე, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონიდან ტირიფონის ველზე გადასახლებული იქნას 130 კომლი გლეხი.

მუშათა ცხოვრება

წარმოება გაიზარდა და შრომის პირობებიც გაუმჯობესდა

კარგი ადმინისტრატორი სული და გულია წარმოების. წარმოება მის ხელში იზრდება, შრომის პირობებიც კარგია. მშრომელი მასა მის ნდობის თვალით უყურებს და სხვა. აი მაგალითიც.

საფეიქრო ქარხანაში წარსულში ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო, წარმოება დღითი დღე ეცემოდა და მუშებიც ცუდ პირობებში იყვნენ, რამაც გამოიწვია მათში ხშირი ავადმყოფობა და სამუშაო დროის გაცდენა.

არ რიგდებოდა თავის დროზე ჯამაგირები, მუშები ვერ ღებულობდენ სპეც - ტანისამოსებს, არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება პროფ. და კულტმუშაობას ქარხანაში. მანქანები იყო დაზიანებული, რაც ხარისხს უკარგავდა დამზადებულ პროდუქციას.

მაგრამ ჩვენმა ქარხანამ ფერი იცვალა. მას გამოუჩნდა ახალი პატრონი, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას. ქარხნის ახალმა ადმინისტრაციამ უპირველესად ყოვლისა შეაკეთა ყველა დაზიანებული მანქანები, გაასუფთავა ქარხანა, ურიგებს მუშებს შრომის ხელფასს თავის დროზე.

ყველა ამ ზომებმა გააჯანსაღა ქარხნის წარმოება და გააუმჯობესა შრომის პირობები.

ქარხანაში წარმოება 100 პროცენტით გაიზარდა.

მუშა ვარდენ.

ამ მუშათა უბანსაც მიხედეთ

უბან „ახალშენს“ და სოფელ ვეძის შორის მდებარეობს საბურთალო, რომელიც ქალაქიდან ხუთი ვერსის მანძილზეა სამხედრო გზა-ტკეცილის ორივე პირას. ეს სამი უბანი ქართველ, სომეხ და რუს მუშა-მოსამსახურეთა ბინადრობას შეადგენს და ათას კომლამდე ადის. ამ სამ უბანს საერთო სახელად დაარქვეს „საბურთალო“ და შედის ქალაქის ფარგლებში.

ამ ათიოდე წლის წინად საბურთალოს ქალაქის არა ეცხო რა, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში დაეტყო მას ქალაქის ელფერი და შნო-მარიფათიც მიეცა: ოღრო-ჩოღრო გზები გამოსწორდა, სინათლე და განათლება მიეცა, წყალსადენი და სამკურნალოც გაჩნდა, მაგრამ ამ პატარა ქალაქს კიდევ ბევრი რამ აკლია: კოოპერატივის მომატებაა საჭირო: ვინაიდან ახალშენელებს და ვეძისელებს დიდ მანძილზედ უხდებათ სიარული უბრალო ნივთების საყიდლად, აგრეთვე უნდა მოაწყოთ ბორანი და ტრამვაი, ვინაიდან მუშა-ხალხს ასეთ მანძილზე არაქათი ელევა ფეხით სიარულით ქალაქ და ქალაქ გარეთ სამუშაოზე;

სასურველია აგრეთვე ამ უბანში გაიხსნას (ცხრაწლედი) სკოლა, რომ ბავშები (შაგირდები) არ იტანჯებოდენ შორ მანძილზე სიარულით.

საბურთალოს არ გაჩნია აგრეთვე სამილიციო კომისარიატი. იგი მიწერილია ვერის კომისარიატზე და ადვილი წარმოსადგენია, რა მანძილი უნდა მოინახოს სამართალი, რომ აქ ჩხუბი-ალიაქოთი ანუ ქურდობა მოხდეს!?

სასურველია აგრეთვე აქ, ამ ქალაქიდან მიწყვეტილ მხარეს ყავდეს თავისი საკუთარი ცეცხლ-მქრობელი გუნდი, რომ ხანძარი გაჩნდეს, დროზე იყვეს ჩაქრობილი.

მშრომელი ხალხი მომთმენია. იგი ანგარიშს უწევს აღმასკომის რესურსებს და ყველა კეთილ მისწრაფებებს. ერთბაშად არა სთხოვს ამას მხოლოდ იმედოვნებს, რომ აღმასკომი საბურთალოს არ დაივიწყებს და თანდათანობით მიწევათა პირველ რიგში ახლად აღორძინებული ახალშენ - საბურთალო - ვეძისი ექნება აღებული.

თეატრის საქმე აქ მოიკოჭლებს: შენობების საჭიროების და შესაფერ სცენა-დეკორაციების უქონლობის გამო ხეირიანი პატარა პიესები ვერ იდგმება:

განზრახული იყო ვანო დუშელის ქრონიკა-დრამა „**გამყლაპველი**“ ეთამაშათ, მაგრამ ვერ მოხერხდა წარმოდგენა სცენის მოუწყობლობის გამო.

დიდი ქალაქის დრამატიულმა თეატრმა უნდა მიხედოს და ხელი შეუწყოს თავის პატარა ძმებს ქალაქის განაპირა უბნებში თვითგაცნობიერების და სასარგებლო საქმეში.

მუშკორი—ჭალარა.

შრომის ინსპექტორები და სოცდაზღვევა

ამ დღეებში შესდგა თბილისის დამზღვევ სალაროს გამგეობის სხდომა. სხდომას დაესწრენ ოთხი რაიონული შრომის ინსპექტორი და თბილისის მაზრის შრომის ინსპექტორიც. დამზღვევ სალაროს თავმჯდომარის ამხ. ცომაიას მიერ ამ სხდომაზე გამგეობის წევრებს გარდა მოწვეული იყვენ აგრეთვე შრომის ინსპექტორებიც იმიტომ რათა მათ გაეცნოთ გამგეობისათვის მუშაობა, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული თბ. დამზღვევ სალაროს საქმიანობასთან.

ასეთი კრება საქარ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველად იქნა მოწვეული ამ დღისათვის. ვინაიდან დამზღვევი სალაროს წესიერი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული შრომის ინსპექტორების მოღვაწეობაზე იმ კანტროლის და მიხედვით, რომელიც უკანასკნელთ აწევს.

შემდეგისათვის შრ. ინსპექტორები ვალდებული არიან სამ თვეში ერთხელ გააცნონ გამგეობას მათი ნამუშევარი იმ რაიონებში, სადაც ისინი არიან მივლინებული.

1-ლი რაიონის შრომის ინსპექტორი ამხ. **თოდრია** სხდომას აცნობს, რომ მისი რაიონი აერთიანებს მე-5, 6, 7, და 8 სამილიციო უბნებს, სადაც უმთავრესად სამრეწველო ქარხნებია. რომლებიც შედიან გემოკვების, მეტყავეთა, ფეიქართა, ქიმიკოსთა და მლითონეთა კავშირში.

მისი მუშაობა სოცდაზღვევის დარგში გამოიხატა შემდეგში: თვალყურის დევნა საპროცენტო ანარიცხების სისწორით აღრიცხვისა და დროზე შეტანაზე სალაროში, მუშა-მოსამსახურეებზე სპეცტანთსაცმელების დროზე გაცემას, ავადმყოფობის გამო შეღავათების გამოყენებასა და მორიგი შვებულებების განაწილებასა საანგარიშო წიგნაკების წესიერად წარმოებასა, უბედურ შემთხვევასთან ბრძოლა და თვალყურის დევნებაზე და სხვა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ აქამდე ქალაქის ამბულატორიებთან შრომის ინსპექტორებს არ ჰქონდათ მჭიდრო კავშირი, რის გამო უბედური შემთხვევების აღრიცხვა არ სწარმოებს რიგიანად.

ზემოხსენებულ რაიონებში მომხდარა 80 (აღრიცხული) უბედური შემთხვევა, მათ შორის 5 სერიოზულია. მისი დაკვირვებით კი უბედური შემთხვევების რიცხვი 200 უდრის ყველა რაიონებში.

ამასთანავე აღმოჩენილ იქნა 112 შემთხვევა მუშების დაუზღვევლობის კერძო დაწესებულებებში და წარმოებებში. შედგენილია 219 ოქმი სხვადასხვა სოცდაზღვევის კანონების დარღვევისათვის, რის გამოც ზოგან ტარდება დამსჯელი ტარიფები, მაგრამ სრულად მაინც ვერ ტარდება ეს ცხოვრებაში, რაც აფერხებს შრომის ინსპექტორების მუშაობას ადგილებზე.

ზოგიერთი ქარხნის ადმინისტრატორები შრომის ინსპექტორების მოთხოვნილებას ასრულებენ, რის გამოც მუშათა ყოფა-ცხოვრებაც გაუმჯობესდა.

ამხ. ქირაქაძემ, წივწივაძემ და ჯაგინოვმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თუმცა სოცდაზღვევის დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ შემდეგისათვის საჭიროდ სცნობენ ისინი ნეტ ცოცხალ კავშირს შრომის ინსპექტორებსა და დამზღვევ სალაროს შორის, რომ ამით დამზღვევ სალაროს კანტროლიორები დაუკავშირდენ რაიონის ინსპექტორებს და მათთან მუდმივი კავშირი იქონიონ.

სხდომაზე წამოჭრა აგრეთვე საკითხიც, როგორიცაა დამსჯელი ტარიფის ცხოვრებაში გატარების სირთულეზე. ასეთი ზომები ამხ. ცომაიას აზრით, ვერ არის მიზანშეწონილი და მცირე ნაყოფიც მოაქვს მას, თუმცა ამ გზით შეკრებილ იქნა 20.000 მანეთამდე.

საჭიროა მეტი ყურადღება შრომის ინსპექტორების მიერ მიქცეულ იქნეს იქითკენ, რომ მუშათა ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდეს ქარხნებში.

შრომის ინსპექტორები მიუთითებდენ კიდევ იმაზე, რომ შრომის სასამართლოს მიერ მიცემულ აღმასრულებელ ფურცლებს დიდი ხანი აგვიანდება და ხანდახან სისრულეში მოყვანაც აგვიანდება.

სხდომამ ამის შესახებ გამოიტანა სათანადო დადგენილება მათ ცხოვრებაში გასატარებლად ზომების მიღების მიზნით უმაღლეს იურიდიულ ორგანოსადმი მიმართვით.

გარდა ამისა, გამგეობამ დაავალა ყველა შრომის ინსპექტორებს, რათა მათ თვალყური ადევნონ ზედმეტ მუშაობას წარმოებებში და დაწესებულებებში, რადგან ზედმეტი მუშაობის საპროცენტო ანარიცხები უმეტეს შემთხვევაში დამზღვევ სალაროში არ შედის და შეუმჩნეველი რჩება სალაროს მიერ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამგეობამ გამოიტანა სათანადო დადგენილებანი ყველა ზემოაღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად და შრომის ინსპექტორებთან ცოცხალი კავშირის გაბმის შესახებ.

მუშკორი ყ-ნი.

მუშათა წერილებიდან

— **შეზღუდეთ ამ ბიუროკრატის თავხედობა.** გორის „ეპო“-ში მუშაობს მოლარის თანამდებობაზე ყოფილი ჟანდარმი, შავრაზმელი ვინმე რისოვი, რომელიც ყოველგვარ ზომებს მიმართავს ნოქრების შესავიწროებლად. აღნიშნული პირი ნორმალურ მუშაობის საშუალებას არ აძლევს მათ. ძველი ზნე-ჩვეულებები ეხლაც ზურგზე ჰკიდია მას.

„ეპო“-ს გამგეობამ, ალაგმე მუშების შემავიწროებელი.

მუშკორი სიკო.

— **ამბულატორიაც ასეთი უნდა.** ქ. დუშეთში გვაქვს დამზღვევ სალაროს ამბულატორია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. აქ ვერ მიიღებს კაცი საექიმო დახმარებას, წამლების მზადებას იგი 2—3 დღის უნდება. არის შემთხვევა, როდესაც წამლის უქონლობის გამო ავადმყოფები ესალმება წუთისოფელს. დუშეთის ჯანსახკომის ინსპექციამ მოაგვაროს ამბულატორიის საქმიანობა.

გზატკეცილელი.

— **საჭიროა რიგი.** რკინისგზის ბირჟაში უმუშევართა გასაგზავნათ არავითარი რიგი არ არსებობს. ამ ნიადაგზე ხშირად უსიამოვნებაც კი ბირჟის გამგე ჭკუასხელთან.

აქ საჭიროა რიგის გაჩენა უმუშევართა სამუშაოზე გასაგზავნად.

უმუშევარი.

— **სად არის დაპირება?** როგორც დამზღვევ სალაროს წევრებმა შეგვპირდენ, წელს ცემის სანატორიუმში უნდა მოეწყოთ კინო-სურათების ჩვენება. მაგრამ აგერ სეზონი გადის და მუშებს არც კინო უნახავთ და არც სხვა რაიმე ასეთი—გასართობი.

თუმცა ა.-კ. რკ. - გზ. პროფკავშირების მე-? ყრილობამ დაადგინა, რომ სანატორიუმებში გასართობებს დიდი ყურადღება მიქცეოდა მაგრამ ეს ასე არ ხდება.

ვისი ბრალია?

საკვირველია, დამზღვევ სალაროს, რად დაავიწყდა, ყრილობის ეს დადგენილება.

კოტე ქვენობნელი.

— **უნდა მიიღოთ ხულიგნების წინააღმდეგ** ზომები. მეცხრე უბანში, რეუტოვისა და ჩერქეზოვის ქუჩის მოსახვევში (სამილიციო უბნის წინ) არის ღვინის სარდაფი, რომლის ამოსავალ კართან ზის ორი მეპაპიროსე. მათ გარშემო ყოველ საღამოობით თავს იყრიან ვიღაც საეჭვო ახალგაზრდები. შებინდდება თუ არა, ეს ვაჟბატონები ქუჩაში ხალხს არ ატარებენ და ლანძღვა - გინებით იკლებენ იქაურობას. ამ ქუჩაზე პატიოსან მოქალაქეთ არ გაევლებათ. ხულიგნები დადიან მუშათა ბაღებში და კლუბებში (როგორც მაგ. პლეხანოვის სახელობის და მუშტაიდის ბაღებში) და აქ დასასვენებლად მოსულ მშრომელ ხალხს მოსვენებას არ აძლევენ.

ეს საზიზღარი მოვლენა უნდა აღმოფხვრას ქალ. მილიციამ.

ზ-პ-ი.

— **ეს „მუშაკი“ სახელს უტეხს რკინისგზის** პროფკავშირს. 4 აგვისტოს ფოთიდან მომავალ მატარებელს № 9 ვაგონდა № 2201-ის გამცილებლად მოყვებოდა მოქ. **დონდელიუკინი** (№ 156), რომელიც თავის ხულიგნური ქცევით მოსვენებას არ აძლევდა მგზავრებს. სენაკში მან გლეხებს მიაყენა შეურაცყოფა იმისათვის, რომ ისინი მოითხოვდენ ქართულ ენაზე, რათა მათთვის მიეცათ მატარებელზე ადგილი. მან გლეხები უხეშად მოიშორა და ლანძღვა-გინებით გაისტუმრა.

ასეთი „მუშაკი“ პროფკავშირისი წევრად არ უნდა იყოს.

მუშკორი რკინისგზელი.

„მერკურის“ მოფრენა თბილისში

ჩვენი მოლოდინი გამართლდა მიუხედავათ იმისა, რომ კვირას საშინლად მოღრუბლული დღე იყო, კავკასიონის ქედზე „მერკურის“ მანქანა მაინც წარმატებით გადმოფრინდა და თბილისში ჩამოეშვა.

მინერალურ წყლებიდან თბილისამდე ჰაეროპლანი მხოლოდ ორ საათნახევარი მოუნდა მთავარ კავკასიონის ქედით, ნაცვლად ორი დღე და ღამისა მატარებლით.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მოვლენა დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს მსოფლიო მასშტაბით. მანქანაზე ისხდა რვა მგზავრი.

გარდა მგზავრებისა, მანქანაში ეწყო სახელმწიფო ფოსტა და ბარგი, რომელთა წონა 1.600 კილოგრამს (100 ფუთს) აღემატებოდა. აი სწორედ ამიტომ არის აღსანიშნავი ამ დიადი გადმოფრენის მნიშვნელობა მთელი თავისი პრაქტიკული ხასიათით.

ამით გამოირკვა თანამედროვე ჰაეროპლანის სრული გამოყენება საჰაერო მიმოსვლელისათვის. იგი უკვე შორს გასცილდა სასპორტო - სასეირნო მიზნების დანიშნულებას და შედის, როგორც აუცილებელი საჭიროების საგანი კაცობრიობის ცხოვრებაში იქ, სადაც ფასდება მიმოსვლის სიჩქარე და დროის ეკონომია.

ჰაეროპლანით ჩამოფრინდნენ უკრაინის სამოქ. ფრენოსნობის გამგეობის თავმჯდომარე, ამხ. იუნგმეისტერი, მფრინავი ბუობი, თვით მანქანის აშენებელი მოქ. დორნიე და სხვანი, რომელნიც ოთხშაბათს გაფრინდებიან უკანვე ხარკოვში. მხურვალე სალამი მათ.

მფრინავი ბეს. ქებურია.

„დორნიე-მერკური“

გუშინწინ, დღის 1-ლ საათზე თბილისში ჩამოფრინდა „დორნიე-მერკურის“ სისტემის თვითმფრინავი. „მერკური“ პირველი თვითმფრინავია, რომელმაც გადმოიარა ჯვარის უღელტეხილი. იგი საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა თბილისში. მას მოჰყავდა მგზავრებიც. მთელ გადმოფრენას მოსკოვიდან — თბილისამდე დასჭირდა 12 საათი. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვითმფრინავი ხარკოვიდან მინერალურ წყლებამდე არსად არ შეჩერებულა.

მინერალურ წყლებიდან თვითმფრინავი გადმოფრინდა 26 სექტემბერს დღის პირველ საათზე და 3 საათის მგზავრობის შემდეგ უკვე თბილისში ჩამოფრინდა. გადმოფრენამ ნათელჰყო, რომ ჩვენ მომავალში სრული შესაძლებლობა გვაქვს დავიჭიროთ მტკიცე კავშირი საჰაერო გზით მინერალურ წყლებსა და თბილისს შორის; მანძილი შემოკლებულია საჰაერო გზით 1.000 კილომეტრით.

თვითმფრინავის მოტორი 450—600 ძალის სიძლიერით შეუწყვეტლივ მუშაობდა მთელი გადმოფრენის დროს. მან მშვენივრად გამოაჩინა თავისი საუკეთესო ღირსებანი საჰაერო სამგზავრო მიმოსვლის საქმეში.

თვითმფრინავ „დორნიე - მერკურით“ თბილისში ჩამოფრინდენ ფირმა „დორნიე“-ს პატრონი მოქ. **დორნიე,** უკრაინის საჰაერო მიმოსვლის დირექტორი ამხ. **იუნგმეისტერი** და სხვ. მგზავრები.

თვითმფრინავს რიგრიგათ მართავდა 3 პილოტი.

მომავალ წლიდან განზრახულია მიმოსვლის აღდგენა ჯვარის უღელტეხილით, მოსკოვ-თბილისს შორის.

მოდელების შეჯიბრი

ავიაქიმის თბილისის საბჭომ 26 სექტემბერს ჩაატარა ჰაეროპლანების მოდელების მე-5 შეჯიბრი.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა გამოჩენილმა მოდელისტებმა. შეჯიბრში მოდელების ჰაერში გაფრენის ხანგრძლივობის მხრივ, ევროპის რეკორდი აიღო მოდელისტმა ამხ. **ჩეკულაევმა.** უკანასკნელ ხანებში ამხ. ჩეკულაევს მთელ საბჭოთა კავშირში ამ მხრივ მეორე ადგილი ჰქონდა დაჭერილი. ევროპის მასშტაბით დღემდე პირველი ადგილი ამ მხრივ გერმანიას ეჭირა (მოდელი ჰაერში სძლებდა 7 წუთს). ამხ. ჩეკულაევის მოდელმა კი გასძლო 9 წუთი და 46 წამი. ამას გარდა ჩეკულაევმა აიღო საქართველოს რეკორდი მოდელის მიერ გადაფრენილ მანძილის გავლაში. საქართველოში ამ მხრივ პირველი ადგილი ეჭირა მოდელისტ—უმიკოვს, რომლის მოდელმა გადაიფრინა 680 მეტრი მანძილი. ამხ. ჩეკულაევის მოდელმა კი გადაიფრინა 755 მეტრი.

მოდელისტი ჩეკულაევი 2 წელია, რაც მუშაობს ჰაეროპლანების მოდელებზე. ამ ხნის განმავლობაში იგი თანდათანობით აუმჯობესებს მოდელების კონსტრუქციებს. მისი უკანასკნელი ტიპის მოდელი წარმოადგენს ერთმოტორიან მანქანას მიმწოლი ხრახნილით, რომელსაც აქვს გადამსროლი მოტორი 48 გრამის წონისა.

ამხ. ჩეკულაევს რამოდენიმეჯერ აქვს მიღებული პრიზი გაუმჯობესებულ სახის მოდელების გაკეთებაში.

ავიაქიმის თბილისის საბჭომ მიანიჭა ამხ. ჩეკულაევს ავიაქიმის დიდი პრიზი.

72 სახლი მუშებისათვის

ბინის საკითხი რკინისგზებზე მწვავეთ სდგას. თვითეულ რკინისგზელზე საშუალოთ მოდის 7,5 კვადრატიული არშინი ბინის სივრცისა. ამავე დროს 592 ვაგონი ასრულებენ ბინის მოვალეობას.

მიმდინარე წლის განმავლობაში გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა ბინის ფონდის გასაფართოებლათ.

საბინაო აღმშენებლობისათვის მიღებული იყო საგზაო კომისარიატიდან 821.000 მან., ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან — 200.000 მან. და საბინაო-სააღმშენებლო კოოპერაციის საშუალებით —45.000 მან. ამ თანხებით შეუდგა ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველო საბინაო აღმშენებლობას.

ბაქოში აშენდა 8 სახლი, ბალაჯარაში 5, განჯაში 6, თბილისში 2, ბათომში 1, ლენინაკანში 4, ერევანში 2 და აქსტაფაში 3.

უკვე აშენებულია 31 სახლი.

1926—27 წლისათვის გამოთხოვილია 1.500.000 მან. ამ თანხით სამმართველოს განზრახული აქვს 41 ახალი სახლის აშენება.

აღწერა

სრ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აღწერა მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყება მომავალი წლის გაზაფხულზე. აღწერის მიზანია გამორკვევა გლეხურ მეურნეობის სტრუქტურისა, სივრცისა, საშუალო მოსავლის რაოდენობისა, მეურნეობის კულტურა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რაოდენობის. აღწერის შემდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები მეურნეობის გასაუმჯობესებლათ.

შრომის სექცია

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტთან არსებული შრომის სექცია შეერთებული იქნება თბილისის შრომის ბირჟის სექციაში.

უმუშევართა აღრიცხვის დროს დაცული იქნება რკინის გზის შრომის პროფესია-კვალიფიკაცია.

სექციის მუშაობა იწარმოებს შრომის სექციების საერთო წესით.

შრომის ეკონომიკა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს ახალი განყოფილება, რომელსაც დაევალება თვალყური ადევნოს შრომის ეკონომიკას ს. მ. უ. ს. ტრესტებსა, წარმოებებსა და განყოფილებებში.

შრომის ეკონომიკის განყოფილების ორგანიზაციის პრინციპებს და ამოცანებს ს. მ. უ. საბჭო განიხილავს თავის უახლოეს სხდომაზე.

ხაშურის დაგეგმვა

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სატეხნიკო სექციის ხელმძღვანელობით, ამჟამად სწარმოებს ქალ. ხაშურის დაგეგმვა თანამედროვე ქალაქების გეგმაზე.

დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია ახალი ქუჩების გაყვანა სურამისაკენ, ქალისაკენ, ასიაურისაკენ და სხ.

ადგილობრივმა აღმასკომმა აკრძალა უგეგმოთ სახლების აგება და ქუჩის ნაპირას დაწესებულ ზონის გადმოცილება.

ახალი არტელები

თბილისში დაარსდა ახალი კოოპერატიული არტელი სახელწოდებით—„ტრუდხიმ“. არტელის მიზანია სხვადასხვა ტეხნო-ქიმიური პრეპარატების, საპნების და სურნელოვან საცხებელთა დამზადება.

გარდა ამისა ქუთაისში მოეწყო კიდევ ორი ახალი არტელი: ერთი—აბრეშუმის საქსოვი და მეორე—„დასავლეთ საქართველოს ფოტოგრაფების გაერთიანებული კოოპერატიული ამხანაგობა“.

არტელების წესდებები გადაგზავნილია დასამტკიცებლად.

მოტოციკლეტების გადარბენა

სექტემბრის ბოლო რიცხვებში თბილისის ავტოკლუბი ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს მონაწილეობით, აწყობს მოტოციკლეტების გადარბენას. მარშრუტი ასეთია: თბილისი - ვლადიკავკაზი-გროზნო - თბილისი.

გადარბენის მიზანს შეადგენს ახალი კონსტრუქციის მოტოციკლეტების შემოწმება („ინდიან“ „ხარლეი“ და სხვ.) ეს მოტოციკლეტები გამოშვებულია 1926 წ.

გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს 20-დე მოტოციკლეტი. გროზნოში ჩასვლისას, გროზნოს ველოდრომზე მოეწყობა საქართველოსა ჩრდილო-კავკასიის შორის მოტოშეჯიბრი.

საუღელტეხილო რკ. გზა

როგორც ვიცით, განზრახულია დაწყებულ იქნეს კავკასიის საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანა, რომელიც შეუერთებს სად. მუხიანს ქალ. კავკავს.

აღნიშნული რკ.-გზის გასაყვანათ უკვე შესდგა რკინის-გზის გამყვანი სააქციო საზოგადოება. საზოგადოება გამოსცემს აქციებს და მისი გაყიდვიდან შემოსული თანხით იწარმოებს გზის გასაყვანი მუშაობა.

აქციები პირველ რიგში დაურიგდება სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებებს და შემდეგ კერძო ხასიათის წარმოებებს.

აქციების დიდი ნაწილი გამოთხოვილია თბილისის ტრესტებისათვის.

მაუდის ქარხანა

დიღუბეში მაუდის ასაგები ქარხნის პროექტის დამუშავება უკვე სრულდება.

შენობის მთავარი კორპუსის ასაგებათ მუშაობა უკვე დაიწყეს: ჩაყრილია საძირკველი და მოტანილია საამშენებლო მასალა.

ქარხნის ასაგები პროექტი უთანხმდება ჩვენში არსებულ შრომის დაცვის კანონთა მოთხოვნილებას.

ბუფეტები სკოლებში

მუშკოოპს განზრახული აქვს თბილისის ყველა მოზრდილ სასწავლებლებში მოაწყოს კოოპერატიული ბუფეტები, საიდანაც მოსწავლეებს იაფ-ფასებში მიაწოდებენ საჭმელებს.

ბუფეტების მოწყობის თაობაზე მუშკოოპმა მიმართა შუამდგომლობით განათლების სახალხო კომისარიატს, რომლისაგანაც პრინციპიალური თანხმობის მიღების შემდეგ შეუდგებიან სკოლებში არსებულ კერძო ბუფეტების ლიკვიდაციას.

სულ განზრახულია მოეწყოს 60-მდე ახალი სასკოლო ბუფეტი.

საბინაო კოოპერაცია

მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა მოახდინოს რესპუბლიკაში არსებულ საბინაო კოოპერატივთა გაერთიანება ერთ ცენტრში.

გაერთიანებაში შევლენ საბინაო - საამშენებლო და საიჯარო კოოპერატივები.

ცენტრალურმა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ამის შესახებ უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა.

მანუფაქტურა

საფეიქრო სინდიკატის ამიერ - კავკასიის განყოფილების ცნობით, მიმდინარე 1925—26 წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში გასაღდა 50 მილ. მანეთზე მეტი ღირებულების მანუფაქტურა.

მთელი მანუფაქტურის 45 პროცენტი განაღდებულ იქნა საქართველოში, 40 პროც. — აზერბეიჯანში, ხოლო 15 პროც. სომხეთში.

საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმით, მომავალ 1926—27 წ. საოპერაციო წელში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 7.500.000 მანეთის მანუფაქტურა.

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

27 სექტემბრის დილის სხდომა

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **დეკაპრილევიჩის** დაკითხვა.

ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა გასამართლებელი საბუთები ათასობით მაგიდაზე ეყარა. მართალია, ის ღებულობდა ამის შესახებ ზომებს, მაგრამ სათანადო თანხის უქონლობა დიდათ უშლიდა ხელს.

ამის შემდეგ ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

პროკურორი: შედიოდა თუ არა თქვენს მოვალეობაში წარმოდგენილ ანგარიშების გადათვალიერება?

ბრალდებული: არ შეადგენდა ჩემ მოვალეობას.

დამცველი: როგორ მომუშავეთ ითვლებოდა სამსახურში ბრალდებული ვარდანაშვილი?

ბრალდებული: ვარდანაშვილს მე ვიცნობ დიდი ხანია; ის სამსახურში კარგს მომუშავეთ ითვლებოდა.

ამით თავდება ბრალდებულ დეკაპრილევიჩის დაკითხვა.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მაცაბერიძის ჩვენება

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე **მარიამ მაცაბერიძე** (თბილისის სადგურის მოლარე).

მოწმე უჩვენებს, რომ ერთ დღეს მასთან სალაროში მისულა ბრალდებული თოფურია და სხვათა თანდასწრებით უთქვამს მისთვის: „თუ სალაროში არაფერი არ გრჩება, მე გასწავლი გზებსო“.

ცენტერაძემ (რკინისგზის თანამშრომელი) სთქვა: „ნინა ბასიშვილს—(ამჟამად ბრალდებული) სალაროში საქმეები არეულ-დარეული აქვს და დაპატიმრება მოელისო“. ცენტერაძეს აგრეთვე უთქვამს, რომ ბასიშვილის ადგილზე მას მოაწყობდენ.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **სოლოვიევა** (რკინისგზის არქივის გამგე).

სოლოვიევას ჩვენება

მოწმე მოუთხრობს სასამართლოს, რომ სამგზავრო ნაწილში გასამართლებელი საბუთები არ ინახებოდა სპეციალურად მიჩნეულ ადგილზე. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მას მიმართავდა სამგზავრო ნაწილის უფროსისათვის დეკაპრილევიჩისათვის, მაგრამ უკანასკნელი ამის შესახებ არავითარ ზომებს ღებულობდა. ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევა გასამართლებელი საბუთების დაკარგვისა და სხ.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **ლუნინი** (მენიხრე).

ლუნინის ჩვენება

მოწმე დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ რა მოვალეობა ჰქონდათ დაქირავებულ მენიხრეებს.

მოწმე ამბობს, რომ ანგარიშების ჩაბარება სწარმოებდა არა ხელწერილის ქვეშ.

დასასრულ მოწმე აღნიშნავს, რომ მენიხრეებისათვის არსებობდა კურსები, სადაც ბრალდებული დეკაპრილევიჩი ლექციებს კითხულობდა.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქმნა მოწმე **ქურდოვანიძე** (რკინის გზის რევიზორი)

მოწმის დაკითხვა სამ საათს გაგრძელდა.

მოწმე უამბობს სასამართლოს, რომ მან საშემოსავლო ნაწილიდან მიიღო მოწერილობა იმის შესახებ, რომ 27 ბილეთი, რომლებიც გაყიდული იყო თბილისის სადგურის სალაროდან მოსკოვ-რიაზანის მიმართულებით, შეემოწმებინა, რადგან ზოგიერთი ნიშნები ბილეთებზე კანონიერად არ იყო დასმული. ეს ბილეთები ამიერ-კავკასიის რკინის გზების ამკრეფ სამსახურის საშემოსავლო ნაწილმა მიიღო რიაზანიდან. მან დაიწყო გამოძიება და აღნიშნული ბილეთები აღმოჩნდა მე-16 სალაროს მოლარე ბრალდებულ **ნინა ბასიშვილის** მიერ გაყიდული. გამოირკვა, რომ ბასიშვილს თითო ბილეთი გაეყიდა 18 მანეთად და 42 კაპ., ხოლო წიგნებში კი შეიტანა ნაკლები თანხა—სახელდობრ 9 მან. გაყიდული ბილეთის თანხიდან ბასიშვილმა სულ მიითვისა 450 მან. შემდეგ ქურდოვანიძეს ბასიშვილისათვის მოუთხოვნია ახსნა-განმარტება, თუ რა პირობებში ჩაიდინა მან ეს ბოროტმოქმედება. ბასიშვილს განუცხადებია, რომ ის საშემოსავლო ნაწილში ადგენდა ანგარიშებს შეღავათიან მოწმობების თანდაურთველად და საშემოსავლო ნაწილიდან შესწორებებს არ ღებულობდა. მოწმე მოუთხრობს სასამართლოს, რომ მას ეჭვი შეეპარა იმაში, რომ ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია არა მარტო ბასიშვილის მიერ, არამედ მას კავშირი უნდა ჰქონოდა საშემოსავლო ნაწილის თანამშრომლებთან. მან ბასიშვილს უთხრა, რომ თუ ის დაასახელებდა იმ პირებს, რომელნიც ღებულობდენ მონაწილეობას ამ საქმეში, შეუმსუბუქებდა მას მოსალოდნელ სასჯელს და მიმართა დაეფარა დანაკლისი. ბასიშვილმა უპასუხა, რომ მას სურს ცალკე მოელაპარაკოს ამ საკითხის გარშემო. ქურდოვანიძე დაეთანხმა.

ბასიშვილმა სთხოვა მას, ნუ გაამხელდა ამ ყალბი ანგარიშების შესახებ და დანაკლისსაც შეიტანდა სალაროში. ლაპარაკის დროს ბასიშვილს აღელვება ეტყობოდა და სცდილობდა ქურდოვანიძესთან ლაპარაკისაგან თავი დაეღწია. ბასიშვილმა არ დაასახელა არც ერთი ყალბი ანგარიშების შემდგენელი პირი და აღუთქვა, რომ მეორე დღისვე შეიტანდა სადგურის სალაროში 450 მანეთს. გავიდა ხანი და დაპირება ბასიშვილმა არ შეასრულა. ამის შემდეგ საქმეს მსვლელობა მიეცა და გამომჟღავნდა საქმის არსებითი მხარე.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, მართალია თუ არა მოწმის ჩვენება,—ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის არ შეპირებია ქურდოვანიძეს 450 მანეთის დანაკლისის ანაზღაურებას. მართალია, მათ შორის იყო საიდუმლო მოლაპარაკება, მაგრამ ეს იყო გამოწვეული თვით ქურდოვანიძის მოთხოვნით.

ბრალდებული დაჟინებით უარყოფს მოწმის დანარჩენ ჩვენებას.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

შემთხვევები

თავის დაჭრა რომანიულ ნიადაგზე

გუშინ, რევოლვერით თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა ნადეჟდა ვასილის ასულმა ჩაჩიბაიამ (ქუთაისის შესახვევი № 1).

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრენ მილიციის და სასამართლოს წარმომადგენელნი. გამოირკვა, რომ ჩაჩიბაიას ქალს თვითმკვლელობა განუზრახავს შემდეგი მიზეზის გამო.

ჩაჩიბაიას შეუყვარდა ჭიჭიკო **კრაბიშვილი.** უკანასკნელი არწმუნებდა ჩაჩიბაიას, რომ მას იგი გაგიჟებით უყვარს. კრაბიშვილი ხშირად უსაყვედურებდა თავის სატრფოს, რომ ის მტკიცეთ არ იცავს თავის გადაწყვეტილებას და სხ. შემდეგ, როცა დაქორწინების ვადა მოვიდა, კრაბიშვილმა უარყო თავისი სიტყვა და ეუბნებოდა მას—„ცოტა კიდევ დაიცადეო“.

არ გასულა დიდი ხანი ამის შემდეგ, რაც ჩაჩიბაიამ გაიგო, რომ მისი სატრფო—კრაბიშვილი ცოლ-შვილიანი კაცია და დარწმუნდა რა იმაში, რომ ჭიჭიკო მას ღალატობდა—გადასწყვიტა თვითმკვლელობა.

გუშინ თვითმკვლელობის განზრახვის წინ, ჩაჩიბაიამ დასწერა ორი წერილი. ერთი ჭიჭიკო კრაბიშვილის და მეორე კი სახლის პატრონის სახელზე.

აღნიშნული წერილები 30 ფურცელზე მეტს შეიცავს.

წერილებში ქალი უსაყვედურებს კრაბიშვილს მასში, რომ მან უღალატა მას სიყვარულში და გახდა მისი უბედურების მიზეზი.

გარდა ამისა, კრაბიშვილმა წინეთ მოიტაცა ჩაჩიბაია, მაგრამ დაპატიმრებული იქნა. შემდეგ ქალმა განაცხადა, რომ ის თავისი ნებით გაჰყვა და კრაბიშვილი განთავისუფლეს.

გარდა ამისა კრაბიშვილი დახელოვნებულ პირათ ითვლება ასეთ საქმეებში. მის „პრაქტიკაში“ 5—6 ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

თავის მოწამვლა

გუშინ, საღამოს 9 საათზე თავი მოიწამლა ბარბარე ბასიძემ (მეტეხის ქ. № 18).

ბასიძემ დასტოვა წერილი, რომელშიაც ის სჩივის ცხოვრებაზე.

ბასიძე სიკვდილს გადაარჩინეს.

— **თვითმკვლელობა.** აბას-აბადის მოედანზე მიხეილ ჩილადიანმა დანით მოიკლა თავი.

— **გაძარცვა.** ახალქალაქის და გორის მაზრის საზღვრებზე სახელდობრ „ტიკმა-ტაში“ გაძარცვეს გიორგი ცხოვრებაშვილი და ალექსანდრე პეტრიაშვილი.

— **შეპყრობა.** 25 სექტ. ქურდობისათვის შეიპყრეს გრიგოლ ნონიაშვილი.

— ამავე დღეს დააპატიმრეს ქურდი ჯიჯავაძე.

— **ხამისხამართ მაგიდაში** ანნა წერეთელს მოჰპარეს 55 მან.

— **კარების მემტვრევის** საშუალებით გაქურდეს მარო ბაქრაძის საწვრილმანო დუქანი.

— **საწოლის მოპარვა.** 25 სექტ. ფეირვერკის ქ. № 3 თამარა საყვარელიძის ბინიდან მოიპარეს რკინის საწოლი.

— **ქურდობა.** 25 სექტ. გოგოლევის ქ. № 3 გაქურდეს სიმონოვის ბინა.

— ამავე დღეს გაქურდეს (მალკინის ქ. № 34) მანუკოვის ფეხსაცმელების სახელოსნო.

— საბჭოს ქუჩაზე გაქურდეს მარიამ ხაზიაშვილის ბინა.

— ღამით 25 სექტ. კლარა ცეტკინის ქ. № 213 დიმიტრი მიქაიას ბინიდან მოიპარეს 120 მან. ნივთები.

— მორგებული გასაღების საშუალებით, ფეთხაინის ქ. № 20 გაქურდეს იაგორ ნიკოლაევის ბინა.

— ნიკოლოზის ქ. № 44 გაქურდეს სარა ზარიეცის ბინა.

ქრონიკა

მემაღაროების ცოლების დელეგაცია

ინგლისის მემაღაროების ცოლების დელეგაცია ჩამოვა თბილისში ორ ოქტომბერს.

მუშათა ჯანმრთელობა

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა მოაწესრიგოს ა.-კავკასიის წარმოებებში უბედურ შემთხვევების დროს მუშებისთვის პირველ საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე.

ცალკე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს დაევალა ეს საკითხი განიხილონ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან (ჯანმრთელობის კომისარიატი, პროფკავშირი დამზღვევი დაწესებულებები და სხ.) ერთად.

თბ. აღმასკომში

— **ტყის დაცვა.** აღმასკომის სატყეო სექციამ გადასწყვიტა შემოღობოს ვარაზის ხევი, სადაც გაშენებულია 30 დესეტინაზე მეტი რცხილა.

— **ახალი ბაღები.** კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახული აქვს მომავალ წელში გააშენოს რამდენიმე ბაღი ქალაქის გარე უბნებში.

— **კომუნალურმა ბანკმა** თელავში გახსნა თავის განყოფილება.

საგზაო კომიტეტში

— **სპეც-ტანისამოსი.** ა.-კ. რკინის გზებზე მომუშავე შეგირდებისათვის საკავშირო თანხებიდან გადაიდო 6 ათასი მანეთი.

— **თათბირი.** ა.-კ. საგზაო კომიტეტი ნოემბერში იწვევს გზებზე მომუშავე ქალთა თათბირს.

— **მოზარდთა ჯგუფის პროცენტი** საგზაო კომიტეტის დადგენილებით, გადიდდება მომავალ წლიდან.

სახ.-სამ. ბანკში

— **თელავის სახ.-სამ. ამხანაგობა** შეუდგა მაზრაში სას.-სამ. ამხანაგობის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ კამპანიის ჩატარებას.

— ცაკის დადგენილებით, შეჩერებული იქნა სას.-სამ. ამხ-ბათა და საკრედიტო კოოპერაციის გაერთიანების საქმე.

განათლება

— **მოანგარიშეთა და ადმინისტრატიულ ტეხნიკოსთა** კურსებზე დაიწყო მსმენელთა ჩაწერა. კურსებს ხსნის ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

— **ზინოვიევის სახელობის პრაქტიკულ მოანგარიშეთა** უმაღლეს ცოდნის გამავრცელებელ ინსტიტუტში დაიწყო მსურველთა განცხადებების მიღება 26—27 სასწავლო წლისათვის.

— **„საწერ-კალამი“.** განათლების კომისარიატის საკანცელარიო სავაჭრომ „საწერ-კალამმა“ ქუთაისში გახსნა თავისი განყოფილება.

საბინაო მშენებლობა

— **სესხი.** საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხნის მუშათა საბინაო ამხ-ბას სახლების დასამთავრებლად გადასცა 2000 მან.

— **ცხინვალის** საბინაო კოოპერაციის მომავალ წლიდან დამხმარე კომიტეტი მისცემს სესხს საბინაო მშენებლობისათვის.

— ამხ-ბა „ბაღ-ქალაქის“ გამგეობას სესხად მისცეს ათასი მანეთი.

— **დამხმარე კომიტეტის** ცნობით, დღემდე საქართველოში დაარსებულია 32 საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხ-ბა.

„არაზინდო.“

დასასვენებელ სახლთა სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წლის 1-ლ მაისიდან 1 ოქტომბრამდე „არაზინდო“-ს სანატორიუმში მკურნალობა მიიღო 6.000 მუშა-მოსამსახურემ.

მიმდინარე სეზონში ავადმყოფების მოვლა კარგათ იყო დაყენებული. ავადმყოფები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდენ, როგორც მოვლაზე, ისე კვებაზე. ამ ხნის განმავლობაში მათგან არ შემოსულა არც ერთი საჩივარი ან უკმაყოფილება.

ლექციები და მოხსენებები

— **მოხსენება არქეოლოგიაზე.** 30 სექტემბერს საქართველოს მუზეუმის შენობაში არქეოლოგი გ. ნიორაძე წაიკითხავს საჯარო მოხსენებას „პირველყოფილი ადამიანის გაქვავებული ტვინის შესახებ“.

ასეთი გაქვავებული კაცის ტვინი ნაპოვნი იყო სოფ. ოდეიცოვოში ქ. მოსკოვის ახლო. ამ პოვნამ გამოიწვია დიდი ინტერესი მსოფლიო მსწავლულებში.

არქეოლ. გ. ნიორაძე მოხსენებაზე უჩვენებს აგრეთვე დიაპოზიტიურ სურათებს.

— **პროფპროპაგანდის მუშათა კონფერენცია.** დღეს, 28 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე. მუშათა სასახლის მცირე დარბაზში შესდგება კონფერენცია პროფპროპაგანდის საკითხების გარშემო.

ყველა კავშირების ც. გ. კულტ. გან. გამგეების, კლუბების, წითელი კუთხეების და კულტკომისიების წარმომადგენლების და პროფწრეების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

— **პროფკავშირების კულტთათბირი.** დღეს 28 სექტემბერს, დილის 9 საათზე ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში (მუშათა სასახლე ოთახი № 14) შესდგება კავშირების კულტთათბირი.

ყველა კავშირების კულტ განყოფ. გამგეების და კლუბების გამგეების დასწრება სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— **„მოამბე“** რედაქციამ მიიღო სტატისტიკ. ცენტრალურ სამმართველოს კრებული „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე“ № 3 (13) ივლისის-აგვისტო.

— **ამხ. „კახეთიას“ ლიკვიდაცია.** სალიკვიდაციო კომისია შეუდგა კახელ მეღვინეთა ამხანაგობის „კახეთია“ ლიკვიდაციის საქმეს.

— **შინა-მომგებიან სესხის** ობლიგაციების გაყიდვა დაიწყო 25 სექტემბერს. ობლიგაციების გაცემა იწარმოებს 25 ოქტომბრამდე.

— **საბაჟო სამმართველოს** განმარტებით, საბჭოთა კავშირში გადასატანი საქონელი საბაჟო-საკანცელარიო გადასახადებისაგან განთავისუფლებულია.

— **ჭრა-კერვის ტრესტების** ნაცვლად უმ. სამეურნეო საბჭომ მოაწყო სააქციო საზ-ბა „მკერავი“.

— **სამრეწველო-ეკონომიური განათლებისათვის** საბჭ. კავშირის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულ სამრეწველო-ეკონომიურ განათლების დამხმარე კომიტეტს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საბჭოს შეწირა 2.000 მან.

ხელოვნება

არლე-ტულის კონცერტისათვის

„როსფილმა“—საბჭოთა კავშირიში საგასტროლოდ მოიწვია ზანგი მომღერალი ქალი კორელი არლე-ტული, რომელიც დიდი გამარჯვებით გამოდის დასავლეთ - ევროპის საკონცერტო ესტრადებზე. მისი კონცერტები ღრმა შინაარსის მატარებელია. მომღერალი ქალი შთამომავლობით ამერიკელი ზანგია. სიმღერის კურსი დაასრულა ლენინგრადის კონსერვატორიაში პროფესორ ცვანციგერის კლასით. გაზეთების გამოცემით, მომღერალი მეტად საინტერესოა, როგორც მუსიკალური, ისე ვოკალური მხრივ. მისი კონცერტი თბილისში დანიშნულია 10 ოქტომბრისათვის.

თამარ წერეთლის კონცერტი

ხელოვნების ყოველ დარგში შეიძლება დახელოვნებულ შესრულებამდის მიღწევა. ეს დაამტკიცა თამარ წერეთელმა ბოშური რეპერტუარის სიმღერების და რომანსების შესრულებით; არ შეიძლება იმ გარემოების უარყოფა, რომ თამარ წერეთელმა მოახერხა ბოშურ სიმღერებში მხატვრული მხარის აღმოჩენა და განასახიერა კიდეც ის თავის მშვენიერ შესრულებაში. სულ ცოტა ხანია, რაც თამარ წერეთელი მღერის თბილისში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მან უკვე საკმაო პოპულიარობა მოიპოვა. მომღერალი თავის ხმას სრულიად თავისუფლად და მრავალფეროვნად იყენებს, ამასთანავე ემჩნევა დიდი მუსიკალობა და განცდა. უნდა აღინიშნოს, რომ მის წარმატებას მრავალრიცხოვან აუდიტორიის წინაშე თავისი აკომპანიმენტებით ძალიან შეუწყო ხელი პიანისტ პროზოროვსკიმ. მშვენიერი იყო, აგრეთვე, მუსორგსკის სახელობის ვოკალური კვარტეტის გამოსვლა კონცერტზე.

ჰ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკთა პროფკავშირის** კლუბში დღეს 28 სექტემბერს გაიმართება მუსორგსკის სახელობის გამოჩენილ სამხატვრო-ვოკალური კვარტეტის საღამო.

— **ნაძალადევის სამუსიკო სასწავლებელში** (ჩერქეზიშვილის, 130), მომავალ სამოსწავლო წლიდან იწარმოებს შემდეგი კლასების მეცადინეობა: როიალის, სკრიპკის, სიმღერის, თეორიის, გარმონის და სოლფეჯიოსი. თხოვნების მიღება ყოველ დღე სალ. 4-დან 7 ს. სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტ.

— **კუკიის მუსიკალურ სასწავლებელში** მისაღები გამოცდები დაიწყება 2 ოქტომბერს. განცხადებების მიღება გრძელდება.

— **„გრძელფეხა ძია“.** კინო „არფასტოში“ დაიწყო ახალი სურათის „გრძელფეხა ძია“-ს ჩვენება მერი პიკფორდის მონაწილეობით.

— **თამარა წერეთლის მეორე კონცერტი** გაიმართება ოპერის თეატრში 1 ოქტომბერს.

— **ჭიათურის** აკადემიურ თეატრისათვის შორაპნის აღმასკომის მიერ გადადებულ იქნა 16 ათასი მანეთი.

— **„მარადისობის ლაჟვარდები“.** ახლო ხანში გამოვა ტერ. გრანელის ლექსების მეოთხე წიგნი: „მარადისობის ლაჟვარდები“.

— **წითელი თეატრი** მომავალ სეზონში სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს მუშათა კლუბებში.

ფეხბურთი

„რუსკაბელ“—„დურუჯი“

კვირას მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდ—„რუსკაბელი“-ის წინააღმდეგ გამოვიდა „დურუჯი“. ამ უკანასკნელს მეტად სუსტი შემადგენლობით მოუხდა სტუმრებთან თამაში. გუნდს აკლდა ოთხი ძირითადი მოთამაშე—პაპკოვი, ფრუიძე, გუნია და აბაშიძე (ისინი შედიან ამიერ-კავკასიის ნაკრებ გუნდში, რომელიც ამჟამად ფინეთშია).

„დურუჯი“-ს მხრიდან თამაშობდენ: **ბალდოევი, ქანეფონტოვი, ხევსურიანი, ქუთათელაძე. იმნაძე, სიხარულიძე, ნიკო ამბოკაძე, ხოფერია, ვაჩნაძე, ის. თურქია და ქებაძე.**

მეორე შეჯიბრმაც, როგორც პირველმა, ნათელჰყო მოსკოველების აშკარა უპირატესობა, როგორც თამაშის ტეხნიკის, ისე ტაქტიკის მხრივ.

შეჯიბრის დასაწყისში ორივე გუნდი თითქმის თანასწორად თამაშობდა, მაგრამ ჩქარა მოსკოველებმა გააძლიერეს იერიში და ხელთ იგდეს ბრძოლის ინიციატივა, რომელიც ხელიდან აღარ გაუშვიათ ხავტაიმის ბოლომდე.

მიუხედავათ სტუმრების სასტიკი იერიშებისა, თბილისელებიც დროგამოშვებით ახერხებენ მოპირდაპირის ფრონტის გარღვევას, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში შედეგს ვერ აღწევენ.

ხავტაიმის ბოლოს მოსკოველებმა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ შესძლეს პირველი ბურთის გატანა „დურუჯი“-ს კარებში და თამაშის პირველი განყოფილებაც ამით თავდება.

მეორე ხავტაიმი იწყება სტუმრების გააფთრებული შეტევით. მათ იერიში იერიშზე მიაქვთ „დურუჯი“-ს კარებზე და დიდ შედეგსაც აღწევენ: მარტო მეორე განყოფილების განმავლობაში „დურუჯი“-ს ბადეში გაიარა ექვსმა ბურთმა.

დურუჯელებიც პირველ ხანებში სცდილობდენ შეტევაზე შეტევითვე ეპასუხნათ, მაგრამ ჩქარა მოიქანცენ და თამაშის დასრულებამდე ვერ შესძლეს ვერც ერთი ბურთის გატანა.

ამრიგათ. შეჯიბრი დამთავრდა 7:0 მოსკოველების სასარგებლოდ.

„დურუჯი“-ს მხრიდან აღსანიშნავია **იმნაძის, ხევსურიანის და ბალდოევის** მეტად მოხდენილი თამაში.

მოსკოველების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათი თამაშის ტეხნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე სდგას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცხენა გარე-მარბის და მარცხენა ინსაიტის ლამაზი თამაში.

დღეს „რუსკაბელ“-ი ეთამაშება „დინამო“-ს. მატჩი დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. შეჯიბრის დამთავრების შემდეგ მოსკოველები მიემგზავრებიან ბათომში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— სამშაბათს, 28 სექტემბ., დილით 10 საათზე შესდგება საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.** თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ახ. ლ. კ. კავშირის სახ უნივერსიტეტის დამუშათა ფაკულტეტის უჯრედის ბიურო იტყობინება უჯრედი წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს 28 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე **მოწვეულია უჯრედის კრება.**

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ სამშაბათს 28 სექტემბერს, ქალაქის აღმასკომის შენობაში საღამოს 6 საათზე შესდგება ორივე ჯგუფის (რუსული და ქართული) ქალთა სადელეგატო კრება, მე-4-ე რაიონის ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა** შესდგება სამშაბათს 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

ქართული ჯგუფი—აგიტ-პროპ. მუშაკის ცენტრალ. კაბინეტში (კიროჩნის 7).

სომხური ჯგუფი—მე-3-ე რაიონის პარტიულ კლუბში (კახეთის ქუჩა).

რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის 3).

სამშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის ქალთა კუთხეში შესდგება **ლენინის რაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

დღის წესრიგი: 1) დელეგატ-ქალების გადარჩევის ჩატარების კამპანიის გეგმა, 2) კუთხის მუშაობის გეგმა, 3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა ქალთა ორგანიზატორებისა სავალდებულოა განსაკუთრებით შემდეგი უჯრედებიდან: 1, 2, 23, 9, 4.

საქ.ახ.ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კომისიის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 28 სექტ. დილის 9 საათზე, გადატანილია დღის 1 საათზე. რაიკომების საგიტ.-საპრ. განყოფილებების გამგეებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ სწორი ცნობები რაიკომებში პოლიტგანათლების ქსელის შესახებ.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 28 სექტემბერს, დილით 9 საათზე შესდგება **თბილისის კომიტეტის ორგანიზაციული კოლეგიის სხდომა.**

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო ქვე განყოფილება სთხოვს ამხ. ამხ. 1. მამალაძე სიმონ, 2. ქურასპედიანი ირაკლის, და 3. გეგეჩავა სამსონს გამოცხადდენ ცეკას სააღ. ქ. განყოფილებაში დღეს, 28 სექტემბერს.

წერკუმსის ლენრაისაბჭო იუწყება, რომ 28 სექტემბერს, დღის 2 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება საბჭოს პლენუმის თათბირი. დასწრება ყველა წევრებსა სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-რე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ საგ.-საპრ. კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, დღის 2 საათზე, რაიკომის შენობაში.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო კოლეგიის სხდომა შესდგება სამშაბათს 28 სექტემბერს. დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ახრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება** იუწყება, რომ ოთხშაბათს, 29 სექტემბერს დღის 1 საათზე პროფკავშირების მცირე დარბაზში შესდგება **პარტიულ და პროფესიონალურ მუშაკთა თათბირი.**

დღის წესრიგი: 1) პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიური საბჭოს ცნობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადების შესახებ.

რაიკომების მდივნების, რაიკომების საორგანიზაციო განყოფ. გამგეების, მსხვილ უჯრედების და კოლექტივების მდივნების და აგრეთვე პროფკავშირთა ცენტრალ. გამგეობების თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. კომ. პარტ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის **რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სხდომა.**

დღეს, 28 სექტემბერს, დილით 10 საათზე შესდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.** თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს, რათა დღეს, 28 სექტემბერს, დილით 8 საათზე გამოცხადდენ საალრიც-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან: კლიზუბოვი მიხეილ კონსტანტინეს-ძე, ფარნიშვილი გრიგოლ დავითის-ძე.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სამდივნო იუწყება, რომ უჯრედების ბიუროების გადარჩევის მიმდინარე კამპანიის გამო, ერთიანი ვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების** თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება ოთხშაბათს 29 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე აგიტპროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

გულსავსე მადლობას ვწირავთ ყველა იმათ, ვინც ჩვენი ოჯახის [illegible] მწუხარება გაიზიარა—თანაგვიგრძნო დეპეშით, წერილით, და პირადი დასწრებით გვანუგეშა ჩვენი ოჯახის საამაყო წევრის სტუდენტ აგრონომის

პაცურა (ვანო) აპოლონის-ძე
წულაძის

უდროოთ დაკარგვის გამო. განსაკუთრებით მადლობელი ვართ კეთილი მეზობლების, ოზურგეთელ ექიმების, ფარმაცევტების და სხვა კეთილების, რომელთაც ჩვენი მძიმე ავადმყოფის გადასარჩენათ არაფერი დაუზოგავთ. უბედური მშობლები: აპოლონ და თაფულო, ძმები: ბიძინა და გივი წულაძენი, და კეკელა (ნინა) ცინცაძისა, სიძე ვანო ცინცაძე.

ნ. ღ.

გულდამწვარი მეუღლე ნადია ფარნას ასული, ძმა ალექსანდრე თომასძე, ძმა გარდაცვალებულისა კონსტანტიაე ალექსანდრესძე კუჭუხიძენი ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობარ-ნაცნობებს. რომ 28 სექტემბერს, სამშაბათს, შუადღის 5 ნახ. საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება

ანეპოდისტე (ალექსანდრე) ალექსანდრეს-ძე
კუჭუხიძის

გარდაცვალებიდან წლის აღსანიშნავი წირვა და პანაშვიდი. 3857

თბილისის აღმასკომის შეფასებითი ბიუროს თანამშრომელნი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი გამგის

ბაბე ფურცელაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. 3861

თბილისის აღმასკომის საფინგანი აცხადებს, რომ 26 სექტემბერს გარდაიცვალა საფინგანის დამსახურებული და საუკეთესო თანამშრომელი

ბაბე (ელისაბედ) ნიკოლოზის ასული
ფურცელაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 3865 2—1

1-ელ ოქტომბრიდან გაიხსნება

ზამთრის სეზონი

კინო-თეატრებში

აპოლო-გოლეი-არფსტაო

ზანუმა
(ქეთო და კოტე)

რეჟისორი ა. რ. ფუფუნავა

ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი

უმთავრეს როლებში: საქართველოს სახალხო მსახიობი—ელისაბედ ჩერქეზიშვილი, დამსახურებული მსახიობი—ტასო აბაშიძე, თამარა ბოლქვაძე, ცეცილია წუწუნავა, სოფიო ჟოჟეფი, ინა ნაზარიშვილი, ქეთ. ჩეჩელაშვილი, ი. კორსუნსკისა. დამსახურებული მსახიობი—ვალერიან გუნია, კოტე მიქაბერიძე, მიხ. ჭიაურელი. ლადო კავსაძე, ის. ტრაპაიძე.

აპოლო

არფსტო

გოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი

„მსჯავლული უცხოელი“

გარრი პილის მონაწილეობით. ყოველდღე ანშლაგები!!!

ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ზანუმა“ (ქეთო და კოტე).

საუკეთესო სურათი

მერი პიკფორდის მონაწილეობით

„გრძელფეხებიანი ბიძია“

ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ზანუმა“ (ქეთო და კოტე).

მეორე კვირა—აუარებელ ხალხს იზიდავს!!!

„აბრეკ ზაური“

უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.

ბეჭვდითი საქმის საპ. ამხან.

„ქართული წიგნი“-ს

გამგეობა აცხადებს ილია ჭავჭავაძის თხზულებებზე

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ, ვისაც ჯერ არ მიუღია ხსენებული ავტორის 1 და მე-2 ტომი, შეუძლია მიიღოს ამხანაგობის კანტორიდან (ჯორჯაძის ქ. № 1) ოქტომბრის 15-დე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელისმომწერთ დაეგზავნება წიგნები ფასდადებით მათი ხარჯით, კანტორიდან კი ამ. დღიდან წიგნები აღარ გაიცემა.

მესამე (3) ტომი იბეჭდება და მალე გამოვა

3850 3—1

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. მთავარი კანტორა

ფინსახკომთან არსებული საფინანსო

კურსები

განცხადების მიღება გრძელდება 30 სექტემბრამდე მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს.

მისამართი წულუკიძის ქ. № 10.

2—1 3849 საფინანსო კურსების ადმინისტრაცია.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 30 სექტემბერს 1926 წ. დღის 11 საათზე სახლში № 22 კომუნალურ ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბაზზო მარტიროსოვის მოძრავ ქონებას: ტყავებს შეფასებულს 990 მანეთად, არტამ ჩელოპანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 1926 წ. თარიღით გაცემულ აღსრულებელ ფურცლისა. 3864

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 სალამ.

პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ

348. 25—1

ექიმი

ბ-რ ი. მირიანაშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.

მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.

ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნე- საბჭოთა (ყ. ვაჟზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან

25—1

სასწორები

მიკროსკოპები

ტეოდოლიტები

ანალიტიური, სიმმერელები, ნიველირები, კიპრეგელები, არითმომეტრები და სხვადასხვა გეოდეზიური და სხ. ხელსაწყოები იყიდება. ვყიდულობ ძლიერი შტამპების პრესს და საბურღავ დაზგას. აგლაბარი, რეადოვის, 22 ვარდისფერი მოედნიდან ნორიამდე დილის 8 ნახ. საათამდედა დღის 5 საათამდე. 3858 3—1

ნატარიალური მინდობილობას, მიცემულს ჩემ მიერ—დავით სპირიდონისძე **პეტრიაშვილისაგან** 30 ივლისს 1926 წ. № 2542. ღვინის შესაძენათ ჩემთვის თელავში მცხოვრებ გიგო პეტრესძე ყაზაროვის სახელზე, დღეიდან ვაუქმებ. 3859

დავკარგე სახალხო კავშირის წიგნაკი № 9766 ელ დიმერ კოტესძე გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3860

დავკარგე კომუნ. ბანკის სენაკის განყოფილების ორი აქცია, მოწმობა № 242 იაკობ ზებულონიძეს აჯია[illegible]შვილის ახელზე, ჩ. გ. 3863

დავკარგე სასწავლებლის მოწმობა მერვე ჯგუფის დამთავრებისა მიხეილ მენაღარიშვილის სახელზე № 485, ჩ. გ. 3854

დავკარგე მხედრის მოწმობა ჯარისწერის № 643, დავით ჭაბალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3852

დავკარგე საშთა-მადნო კავშირის საწევრო წიგნაკი № 2 ონი[illegible]მე დიმიტრისძე ცანავას სახელზე, ჩ. გ. 3853

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2788 სევერიანე ურუშაძეს სახელზე, ჩ. გ. 3856

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“ ოქტომბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთი**—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავი**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღი**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე შ. შნიაშვილი ესტატე
16. **ოჩემჩირი**—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. **სად. ბორჯომი**—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. **ბორჯომ-ბალი**—იაშა ტერტეროვთან

6—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ადმინისტრატიული ტეხნიკის და ანგარიშთ-წარმოების
სახელმწიფო კურსები

იმყოფება ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის გამგებლობაში.

დაიწყო მსმენელთა ჩაწერა.

კურსების 3 დამოუკიდებელ სექტორებზე: 1. ადმინისტრატიულ, 2. ანგარიშთ-წარმოებისა, 3. საქმის წარმოებისა.

მეცადინეობა კურსებზე იწარმოებს შემდეგ საგნებში:

1. ზოგადი საგნები

1. საზოგადოებათმეცნიერება.
2. კონსტიტუცია და უფლება.
3. ეკონომიური პოლიტიკა.
4. სტატისტიკა.
5. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ორგანიზაციის პრინციპები.
6. ზოგადი საქმის წარმოება.
7. ზოგადი ანგარიშთწარმოება.
8. საქმიანი მათემატიკა.
9. კალიგრაფია.

2. სპეციალური საგნები

ანგარიშთწარმოების სექტორით:

1. ანგარიშთწარმოება.
2. აღრიცხვის ისტორია, თეორია და სკოლები.
3. ბალანსების ანალიზი.
4. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ანგარიშთწარმოება.
5. სავაჭრო უფლება.
6. საქმიანი მათემატიკა.
7. სავაჭრო ანგარიშთწარმოება.
8. საბანკო ანგარიშთწარმოება.
9. საწარმოო ანგარიშთწარმოება.
10. ადმინისტრატიული ანგარიშთწარმოება.

(ოთხ უკანასკნელ ჩამოთვლილ საგანთაგან შესწავლილ იქნება ერთ-ერთი, განყოფილების არჩევის მიხედვით)

ადმინისტრატიული სექტორით:

1. მმართველობის მეცნიერული ორგანიზაცია.
2. ოპერატიული აღრიცხვა და კონტროლი.
3. ოპერატიული საქმის წარმოება.
4. ზოგადი საქმის წარმოება (სპეც. კურსი).

საქმის წარმოების სექტორით:

1. მმართველობის მეცნიერული ორგანიზაცია.
2. საკანცელარიო საქმის წარმოება: ა) რეგისტრატურა, ბ) არქივი, გ) მიმოწერის საქმე.
3. ოქმობრივი საქმის წარმოება.
4. პირადი საქმის წარმოება.
5. მანქანით წერა.

მსმენელები შეიძლება ჩარიცხულ იქნენ ერთ-ერთ ზემოჩამოთვლილ სექტორზე.

მეცადინეობა იწარმოებს 8 თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში საღამოს 6-დან 9 საათამდე, კვირაში ოთხჯერ.

ჩაწერა და დაწვრილებითი ცნობები შეიძლება მიღებულ იქნას ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, გრიბოედოვის № 19, ოთახი 18, ტელ. 77.

ნ. 1824

მოსწავლეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხაილევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

0—1

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სქესო ორგანოს ყველა გართულებები დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 373

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.

3574 ტელეფ. № 4—8

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღ. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

Deutsche Handlung

ხელსაქმის გერმანული ბაზარი

სოლოლაკის და მაჩაბელის (ყოფ: სერგიევის) ქუჩების კუთხეში № 2. ბლომათ იშოვება მატყლის და აბრეშუმისფერის გარუსი, პაილეები საუკეთესო ხარისხის. სკოლებისათვის შეღავათი. 384

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

განმეორებით აძლევს წინადადებას განცხადებების შემკრებ აგენტ

დავით ლუარსაბისძე მგალობლიშვილს

ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდეს კანტორაში ანგარიშების გასასწორებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.

მოქ. დ. მგალობლიშვილი აღარ ითვლება გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორის აგენტათ და მასზე გაცემული მანდატები გაუქმებულია, რაიც ცხადდება დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ.

უ. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების წერკუმს-ის ცენტრალური გამგეობის სავაჭრო განყოფილების

სალიკვიდაციო კომისია

პირველ კრებაზე ქვორუმის გამოუცხადებლობის გამო, მეორეჯერ იწვევს კრედიტორთა

საერთო კრებას

1 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, დამსწრეთა რიცხვის მიუხედავათ.

3855

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი **გ. ბალდასაროვი**

ამით აცხადებს, რომ 30 სექტემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 152 კლარა ცეტკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის „ტრესგორნის“ ამხანაგობის მოძრავ ქონებას: პურის სპირტი 12415 გრადუსი შეფასებულს 372 მანეთად და 45 კ. სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 3660 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3862

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 543ჯ5 —1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.

ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის

მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 121

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, 8. 25—1

ექიმი

ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ.

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი

ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო ამის (ყოფილი ქაენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—1

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68